

სალომე გურგუჩიანი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია
(ფულის გათეთრება)

წარმოდგენილია სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ - ხელმძღვანელი: **ბესიკ მეურმიშვილი**

სამართლის პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი.0178. საქართველო

ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 სალომე გურგუჩიანი

შინაარსი

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	4
შესავალი.....	5
თავი I. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი	8
1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორიული მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების მიხედვით.....	8
1.2 უკანონო შემოსავლის განმარტება, მიღების წყარო და ეტაპები	13
1.3 დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების გამოყენების მიზნები.....	28
თავი II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობა.....	29
2.1.უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა.....	29
2.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა.....	34
თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო მამაშტაბით.....	37
3.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო პოლიტიკა, დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.....	37
3.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (2000 წლის 15 ნოემბერი) და „კორუფციის წინააღმდეგ“ (2003 წლის 31 ოქტომბერი) გაეროს კონვენციების შესაბამისად.....	47
თავი IV.ფულის გათეთრების კონტროლის მექანიზმი.....	52
4.1 ახალი ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრების გამოსავლენად.....	52

4.2 შეჯამება.....	62
დასკვნა.....	64
ბიბლიოგრაფია.....	66

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, გაანალიზებული იქნას ის საფორთხეები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით ექმნება. კვლევის მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების, ასევე სხვადასხვა მაგალითების წარმოჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების სრულყოფასა და პრევენციული ღონისძიებების გაფართოებას. შევეცდებით მკითხველს დავანახოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი, მისი საზოგადოებრივი საშიშროება, პრევენციის საშუალებები და შევაფასებ ამ სფეროში სახელმწიფოების და საერთაშორისო კანონმდებლობაში უკვე გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს.

პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის შეცნობის ფილოსოფიური მეთოდები, რომლებიც აღნიშნულ პროცესებს მჭიდრო ურთიერთკავშირში, ურთიერთდამოკიდებულებასა და მუდმივი განვითარების ჭრილში განიხილავს. კერძოსამეცნიერო მეთოდებიდან, კრიმინალური შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის საერთაშორისო ასპექტების განხილვისას, გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი, „ფულის გათეთრების“ მარეგულირებელი ეროვნული და უცხოური სისხლისსამართლებრივი ნორმების გაანალიზებისას - შედარებითი სამართლებრივი

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი და სტატისტიკური მეთოდები. ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებისას მოძიებულ და შესწავლილ იქნა სამაგისტრო ნაშრომის თემის ირგვლივ სამართლებრივი გამოცემები, რომელიც გვაცნობს აღნიშნულ უფლებას, სტატისტიკური მეთოდი გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის 194-ე მუხლით რეგულირებული დანაშაულის გავრცელების პარამეტრების შესწავლისას.

Abstract

The purpose of this Master's Thesis is to examine deals with the threats that the international community faces in money laundering. The study aims to work out scientifically proved recommendations in order to promote enhancement of legislation related to money laundering and improvement of preventive measures. We will try to show the reader the essence of illicit income, its public danger, prevention means and measure the effective steps taken by the States and international law in this field. The philosophical methods of understanding the events and public life processes have been widely used in the process, which discusses these processes in close connection, interdependence and constant development. While analyzing the international aspects of the fight against legalization of criminal income from scientific methods, historical method was used to analyze national and foreign criminal norms regulating "money laundering" - comparative legal.

Methodology: Philosophical methods for acknowledgement of the processes of social life and events which consider the mentioned processes in the context of interdependence and constant development were used. While discussing international aspects and the ways of improvement of Anti-Money Laundering law, historical methods were used; while analyzing national and

international criminal law on Money laundering - a comparative legal method. Statistical methods were used while studying parameters of crime spreading under the Article 194 of the Criminal Code. Sociological poll method was used while questioning experts, content-analysis was used while studying social literature, legislation, analytical materials.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლების ეფექტიან დაცვას. რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დასაცავად არ კმარა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული გარემოებების არსებობა, თუმცა პირველ რიგში, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ადამიანის უფლებების ხელყოფა, საჭიროა დაცვის მკვეთრად გამოხატული ნება და სახელმწიფო პოლიტიკა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში უნდა შეიქმნას კანონმდებლობა და შესაბამისი სოციალური გარემო, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმს. რასაკვირველია კონსტიტუცია, როგორც უმთავრესი კანონი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, თუმცა მხოლოდ კონსტიტუციის დონეზე ვერ დავიცათ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რაც სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია. განსახილველი თემის კვლევის ფარგლებში განხილულია ის საფრთხეები, რომლებიც ექმნება თანამედროვე საზოგადოებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით (ფულის

გათეთრებით). არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულის ახალი სახეობაა, რომელიც, ცალკე შემადგენლობის სახით, პირველად მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იქნა შეტანილი ამერიკის შეერთებული შტატების, შემდეგ კი სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამ განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა ცალკეული ქვეყნისა და მსოფლიოს ფინანსური სისტემის სტაბილობას. პრობლემის მნიშვნელოვნების მაღალ ხარისხს განაპირობებს არა მხოლოდ ბრუნვაში ჩართული ფინანსური რესურსების მოცულობა, არამედ მათი წარმოშობის და მიმოქცევის ფაქტობრივი და პოტენციური შედეგები. ეკონომიკური დანაშაულებები, ფინანსურ სფეროში, თავისი სირთულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფეროა, სამართლებრივი კუთხით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საფუძველს უყრის კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობას და ხელს უწყობს კორუფციის ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით, ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის, ისეთში, როგორიც საქართველოა.

„ფულის გათეთრება“ ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მკვეთრად ზრდის დანაშაულებრივი კლანების ფინანსურ სახსრებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას და აფერხებს მათ განვითარებას. სწორედ აქედან გამომდინარე, ფულის გათეთრება უმძიმეს დანაშაულადაა მიჩნეული და მისი აღკვეთა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იარაღია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფულის გათეთრება თაღლითური მანიპულაციების სქემაა, რომლის მეშვეობით, უკანონო გზით მიღებული შემოსავალი იძენს ლეგალურ სახეს, რაც, თავის მხრივ, კრიმინალური საზოგადოების გაძლიერებასა და კორუმპირებული გარემოს შექმნას ემსახურება სახელმწიფო სტრუქტურებში, საბანკო სფეროსა თუ ბიზნესში.

ფულის გათეთრებაზე მყარი და სწორი შეხედულების ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას. უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციის სისტემური ანალიზის დასკვნები სტაბილურ საფუძველს ქმნის სათანადო კანონთა პროექტების შემუშავებისთვის. მრავალი ნორმატიული საკითხის გადანყვეტა, რომლებიც თეორიულადაა გააზრებული, დადებითად იმოქმედებს კანონმდებლობის განვითარებაზე და კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიზანდასახულობაზე. ფულის გათეთრების მთლიანი სურათის დადგენა შესაძლებელს გახდის, გადაიჭრას შედარებით-სამართლებრივი პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. სისხლის

სამართლის სახელმძღვანელოებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღწერა არც თუ ისე დამაჯარებელი ხასიათისაა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მონოგრაფიული ანალიზის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს მოცემული დანაშაულისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ ცოდნა ესაჭიროება არა მარტო კრიმინალისტებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც. მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შეუძლია ობიექტურად შეაფასოს უკანონო შემოსავლის დაფარვის არსებული ფორმები, თუ ამ დანაშაულის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია ექნებათ. ამიტომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კვლევას არამარტო სისხლისსამართლებრივი, არამედ სოციალური მნიშვნელობაც ენიჭება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თეორიულ კვლევას აქვს არამარტო დოგმატური ხასიათი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად სასამართლო პრაქტიკისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის ინტერპრეტაციისა და გამოყენების ერთიანი მოდელი იქმნება.

ფულის გათეთრებაზე არსებულმა ლიტერატურულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ აღინიშნება ნაშრომების სიმწირე, რომლებიც სწავლობენ ფულის გათეთრებას, კორუფციასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის დამოკიდებულებას საქართველოში, რაც ზრდის კვლევების განხორციელების საჭიროებას. ამრიგად, აღნიშნული საკითხების დეტალური განხილვა მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც ზედამხედველ ორგანოებს, ასევე,

პრაქტიკოს იურისტებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთაში. განვითარებადი ქვეყნები, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ზარალდებიან ფულის გათეთრების შედეგებით, ვიდრე განვითარებული. ფულის გათეთრება ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამცირებს ეკონომიკური განვითარების დონეს და ნეგატიურად მოქმედებს ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ ბაზრებზე. ისტორიული ფაქტების მოძიებით ვლინდება ყველა ის ნეგატიური ზემოქმედება, რომელიც შეიძლება ფულის გათეთრებამ მოუტანოს სახელმწიფოს. ხშირ შემთხვევაში, ფულის გათეთრებას თან სდევს კორუფციის მაღალი დონეც, რაც ასევე ნეგატიურად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების უთანაბრობის დონისა და ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდაზე. ფულის გათეთრების მაღალი დონე ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ის ასახავს ქვეყანაში კორუფციის მაღალ დონეს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ აქტივობები უნდა მოიცავდეს საბანკო აქტივობების, გადასახადების გადახდის მონიტორინგს, სტატისტიკური ანგარიშების დამუშავებას და საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. სხვა შემთხვევაში კრიმინალები აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს ფულის ეფექტიანად გათეთრებისათვის.

თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი

3.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გავრცელების ისტორიული მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების მიზედვით

ტერმინი „ფულის გათეთრება“ (ინგლ. money laundering) პირველად ბრიტანულმა გაზეთმა „The Guardian“-მა გამოიყენა უოტერგეიტის სკანდალის პერიოდში რიჩარდ ნიქსონის

საარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების აღნიშვნისთვის. გავრცელებული ინფორმაციით ეს ტერმინი აშშ-ში წარმოიშვა 1920-იან წლებში.

1934 წელს მათიოზური დაჯგუფებების ლიდერებმა ჩამოაყალიბეს ფულის გათეთრების პრიორიტეტული მიმართულებები. გადანცდა, რომ ინვესტირება უნდა განხორციელებულიყო აშშ-ს ალკოჰოლის და სასმელის ბიზნესში, გაფართოებულიყვნენ სასტუმრო საქმისა და კვების წარმოების მიმართულებით, დამკვიდრებულიყვნენ გართობის ინდუსტრიაში - პირველ რიგში, ღამის კლუბებსა და მუსიკოსების პროფკავშირებში და ბოლოს, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელში ჩაეგდოთ სათამაშო ბიზნესი.

ფულის გათეთრების „ნათლიმამად“ მეიერ ლანსკი ითვლება. ალ კაპონეს „თანამებრძოლმა“ დაასკვნა, რომ შემოსავალი, რომელიც არ იყო ცნობილი შიდა საგადასახადო სამსახურებისათვის არ ექვემდებარებოდა საგადასახადო დაბეგვრას. აილო რა საფუძვლად ეს პოსტულატი, მან დაიწყო არალეგალური ფულის დაფარვის გზების ძიება. სწორედ ის გახდა დღეისათვის ცნობილი ლეგალიზაციის უმეტესი მეთოდების პირველალმომჩენი. მან პირველმა შეიქმნო და შეათვასა შვეიცარიის ბანკების დანომრილი ანგარიშების, ბაჰამის ოფშორებისა და სათამაშო ბიზნესის უპირატესობანი.

პირველად ტერმინი „ფულის გათეთრება“ ბეჭდვით საშუალებებში 1973 წელს აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და „უოტერგეიტის“ სკანდალთან დაკავშირებით გამოჩნდა. 1972 წელს პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევისათვის ნიქსონმა შექმნა საარჩევნო კომიტეტი ჯორჯ მიტჩელის მეთაურობით. ჯორჯ მიტჩელმა ფინანსთა მინისტრ მორის სტენსთან ერთად მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსური ბაზის ჩუმად შექმნა დაიწყო. კომიტეტში კანონით აკრძალული ანონიმური შემონირულობები შეედინებოდა. ფიქტიური კომიტეტებიდან შესული შემონირულობების შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით, უოტერგეიტში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბის გატეხვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ კომიტეტში გათეთრებული ფული შედიოდა.¹

¹ Ackermann J.B. 2003. Money laundering. Zurich. ,C.6-11

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში რევილუციური ცვლილებები მოხდა. წამყვანი განვითარებული სახელმწიფოები გადავიდნენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკასა და წარმოების ინფორმაციულ მეთოდზე.

ევრობაზრის განვითარებით წარმოიქმნა ახალი საერთაშორისო ფინანსური ცენტრები " ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონ-კონგი, ჰანამა, ბაჰამის კუნძულები და სხვ.² ტრანსნაციონალური კაპიტალი გათავისუფლდა „მეურვეობისაგან" და გამოვიდა ნაციონალური სახელმწიფოების იურისდიქციიდან. მან დაიწყო თავისუფალი გადაადგილება მსოფლიო მასშტაბით, უფრო შემოსავლიანი ბაზრების ასათვისებლად. თუ მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს შეეძლო ეკონტროლებინა ნაციონალური სივალუტო ბაზარი, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციისა და სავალუტო კონტროლის შემსუბუქების შედეგად ტრანსნაციონალურ კაპიტალს ნებისმიერი სახელმწიფოს ბაზრის განადგურების შესაძლებლობა გაუჩნდა. „პრაქტიკულად ყველა ტრანსნაციონალური ფინანსური სქესი გადის იმავე ჰეროდში შექმნილ ოფშორებზე, დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 100 ოფშორული ზონაა, რომელთა შორის უმსხვილესად ითვლება „ჰანამა (რეგისტრირებულია დაახლოებით 400 ათასი კომპანია) და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (200 ათასზე მეტი რეგისტრირებული კომპანიით)³ .

ოფშორები საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კაპიტალს გაარიდოს სახსრები საგადასახადო დაბეგვრას. ამგვარად, ახალ ეკონომიკურ გარემოში შეიჭრა მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში უნიკალური შესაძლებლობა „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის განვითარებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. ამით მაშინვე ისარგებლეს ტერორისტულმა, ნარკობიზნესისა თუ სხვა დანაშაულებრივმა ორგანიზებულმა დაჯგუფებებმა. ცალკულ სახელმწიფოებსა და მსოფლიო თანამეგობრობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა - უნდა მოეხდინათ ფინანსურ ნაკადებსა და ფულის გათეთრებაზე კონტროლის რადიკალური გაძლიერება. სწორედ ამიტომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში

² Третьяков В. И. 2009. Организованная преступность и легализация криминальных доходов. Дис. доктора юридических наук. Ростов-на-Дону. С- 47

³ Madinger J. 2011. Money Laundering: A Guide for Criminal Investigators. Third Edition P- 31

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღსაკვეთად მიღებულ იქნა სწრაფი და გადამჭრელი ზომები, თუმცა, ზოგადად, დანაშაულის აღმკვეთი გლობალური სისტემის ორგანიზების საკითხი მაინც ღიად რჩება.⁴

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, თითქმის 80-იანი წლების ბოლომდე არ იყო ცნობილი ისეთი მოვლენა, როგორც ფულის გათეთრება. თუმცა „პერესტროიკის“ დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი მოცულობის კრიმინალური და ჩრდილოვანი კაპიტალი, ხოლო ეკონომიკური დანაშაულობა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ამავე პერიოდში ნებადართულ იქნა კერძო საკუთრების ქონა ღირებულების და რაოდენობის შეუზღუდავად, თუმცა არ არსებობდა რაიმე სახის სამართლებრივი აქტი საკუთრების წარმომავლობის შესახებ. აღნიშნულმა თავის მხრივ განაპირობა საზოგადოებაზე იმ ნეგატიური შედეგების ზემოქმედება, რომლებიც უსამართლო პრივატიზაციის დროს ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში დაგროვებული უზარმაზარი კაპიტალის ლეგალიზებამ გამოიწვია. ჩრდილოვანი შემოსავლების მასშტაბური გათეთრება ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში დაიწყო, როდესაც 1988 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კანონი „კოოპერაციის შესახებ.“ ამ კანონით ნებადართული იყო კოოპერატივების შექმნა შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნის გარეშე, რაც ჩრდილოვანი კაპიტალის გასათეთრებლად გზების ოფიციალურად გახსნას ნიშნავდა. ცალკეული ნორმატიული აქტები, რომელთაც ეკონომიკა კრიმინალური კაპიტალის შელწვევისაგან უნდა დაეცვათ, პრაქტიკულად არ სრულდებოდა. ეფექტურად არ გამოყენებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილება „არაპრომიტი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ“⁵.

„ფულის გათეთრების“ საკითხი აშშ-ის კანონმდებლობაში ერთ რომელიმე კანონში არ არის ასახული. ეს იმითაა განპირობებული, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდიფიცირებული მოდელი. მსოფლიოს სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისაგან განსხვავებით, აშშ-ის კანონმდებლობა თავისებურად ვითარდება. „ფულის გათეთრება“ მასში

⁴ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000576/Asanidze%20S%2B.pdf> გვ - 15

⁵ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000576/Asanidze%20S%2B.pdf> გვ - 16

დღესაც ფართო გაგებითაა მოცემული და მოიცავს არა მარტო დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ, არამედ არამართლზომიერი საქმიანობის შედეგად წარმოშობილ ქონებასაც. ამ მიმართულებით ვითარდება ამერიკული მეცნიერებაც.

1931 წლის 17 ოქტომბერს ჩიკაგოს ფედერალურ სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა მრავალსაათიანი თათბირის შემდეგ გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებაში დამნაშავედ ცნეს აშშ-ში ორგანიზებული დამნაშავეობის ერთ-ერთი ლიდერი, ალფონს კაპონე. გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებისათვის სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რამაც მთლიანად და საბოლოოდ აღკვეთა მისი დანაშაულებრივი კარიერა.⁶

კაპონეს საქმე არ ქმნიდა სამართლის ახალ პრეცედენტულ ნორმებს, მაგრამ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამართლებრივ ცნობიერებაზე. ცხადი გახდა, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის ლიდერი შეიძლება მკაცრად დაისაჯოს, არა მის მიერ რეალურად ჩადენილი დანაშაულებისათვის, არამედ გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებისათვის. დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერები ერთგვარად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. გადასახადის გადახდისთვის აუცილებელია შემოსავლის წყაროს ჩვენება, რაც ფაქტობრივად დანაშაულის აღიარებას ნიშნავს. კრიმინალებისთვის ბუნებრივი გამოსავალი იყო „ფულის გათეთრება“, ანუ შემოსავლების ლეგალური წყაროების არსებობის მოჩვენებითობის შექმნა, რადგან ეს მათ საშუალებას აძლევდა, გადაეხადათ გადასახადი და თავიდან აეცილებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.⁷

⁶ Кернер Х.-Х., Дах Э. (1996) Отмывание денег. Путеводитель по действующему законодательству и юридической практике. М. «Международные отношения». С 37-39

⁷ Кернер Х.-Х., Дах Э. (1996) Отмывание денег. Путеводитель по действующему законодательству и юридической практике. М. «Международные отношения». С-37

ფულის გათეთრების მრავალი ხერხი არსებობს. მათ მეტწილად ნაღდი და უნაღდო ფულის ბრუნვის კონტროლის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკა განსაზღვრავს ⁸. უმარტივესი ხერხია ლეგალური საწარმოების ორგანიზება, რომელთა საქმიანობაც მნიშვნელოვანი ოდენობის ნაღდი ფულის მიღებასთანაა დაკავშირებული.

ერთ-ერთი ასეთი სქემიდან, რომელსაც ამერიკელი განგსტერები ჯერ კიდევ „მშრალი კანონის“ მოქმედების პერიოდში იყენებდნენ, მომდინარეობს თვით მოვლენის სახელწოდება – „ფულის გათეთრება“ (უფრო ზუსტად – მისი „გარეცხვა“, money laundering): გაიხსნა სამრეცხაოთა ქსელი, რომელთა სალაროებში გარეცხვის საფასურის საფარქვეშ ალკოჰოლის გაყიდვიდან, მეძავეების ექსპლუატაციიდან და რეკეტის სხვა სახეობებიდან ამონაგები ფული შეჰქონდათ, რაც საშუალებას იძლეოდა, ამ შემოსავლებზე გადასახადი გადახდილიყო და შემდგომ ისინი ღიად ყოფილიყო გამოყენებული⁹.

ფულის გათეთრების ტრანსნაციონალურმა ხასიათმა განაპირობა ასეთი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა, რამაც გამოხატულება ჰპოვა როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ისე სხვა დოკუმენტებში. თავიდან თანამშრომლობის ინიციატივა აშშ-სგან მოდიოდა. ზოგიერთი სახელმწიფო დაუფარავად მდიდრდებოდა (ზოგი კი დღესაც მდიდრდება) იმით, რომ ეროვნულ საბანკო სისტემებში ფულის გათეთრებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამჟამად ფულის გათეთრებასთან ბრძოლის აუცილებლობა თითქმის საყოველთაოდაა გაცნობიერებული.¹⁰

⁸ Scott D. (1995) Money laundering and International Efforts to Fight It –The World Bank. Public Policy for the Private Sector, Note №48. P 15

⁹ Stessens G. (2000) Money laundering: a new international law enforcement model. Cambridge University. C 82-108.

¹⁰ Alexander K. (2000) The Legalization of the International Anti-money Laundering Regime: The Role of the Financial Action Task Force. Centre for Business Research. C- 8.

1.2 უკანონო შემოსავლის განმარტება, მიღების წყარო და ეტაპები

ეკონომიკის კრიმინალიზაციის პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის ავტორების თეზისმა, რომლებიც 80-იანი წლების ბოლოს ამტკიცებდნენ, თითქოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლოგიკა ჩრდილოვანი კაპიტალის მთელი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისათვის გამოყენებას ითვალისწინებდა. პრაქტიკულად, არალეგალური კაპიტალი რეფორმის რესურსულ უზრუნველყოფად განიხილებოდა. საქართველოს კანონმდებლობაში, როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, იურიდიულად დამკვიდრებულია ტერმინი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“ და იგი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შემდეგნაირადაა განსაზღვრული: უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა.¹¹ თავისი შინაარსით, ფულის გათეთრება, მოიცავს ოპერაციათა რთულ ერთობლიობას, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების წყაროს იმგვარად შენიღბვა, რომ შემდეგში ასეთი აქტივების გამოყენება კომპრომეტაციის გარეშე იყოს შესაძლებელი. სპეციალისტები გამოყოფენ ფულის გათეთრების რამდენიმე ეტაპს. ჩვეულებრივ, მიღებულია სამ ეტაპად დაყოფა: განთავსება, დანაწევრება, ინტეგრაცია, თუმცა, ოპერაციათა სირთულიდან გამომდინარე, ზღვარის გავლენა ამ ეტაპებს შორის საკმაოდ რთულია და დამოკიდებულია ფულის გათეთრებელი პირის ან გუნდის ინტელექტუალურ მომზადებასა და ფანტაზიაზე.¹² 2003 წლის 6 ივნისს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლში ჩამოყალიბებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)“

¹¹ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/12580>

¹² https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

შემადგენლობის შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონით გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის რედაქციით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში დახმარების განწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. „აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების საქმეთა უმრავლესობაში, უმეტეს შემთხვევაში, ფიქსირდება დანაშაულთა ერთობლიობა, ანუ პირი პასუხისმგებლობაში ეძლევა და მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანება რამდენიმე (მათ შორის 194-ე) მუხლის ერთობლიობით. ძირითადად, ეს არის უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება, ცრუ მენარმეობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დიდი ოდენობით ყალბი ფასიანი ქაღალდების დამზადება და შენახვა გასაღების მიზნით და სხვ.“ (ამრიგად, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, მოსამართლეები ან ქმედებათა ერთობლიობას იყენებენ, ან ქმედებას პირდაპირ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით აკვალიფიცირებენ, რაც არასწორია.¹³

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების განწევის მიზნით, აგრეთვე

¹³ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf> C-2

მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.¹⁴ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) არსი, ნებისმიერი მოვლენის შესწავლა, პირველი რიგში, მისი ბაზისის - არსის განსაზღვრებას საჭიროებს. მეცნიერებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი (თუმცა მსგავსი) დეფინიცია არსებობს. 1984 წელს აშშ-ს პრეზიდენტთან არსებული ორგანიზებული დანაშაულის აღმკვეთი კომისიის მიერ ფულის გათეთრება განისაზღვრა, როგორც „პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება შემოსავლების უკანონო წარმომავლობა, ასევე ამ შემოსავლების გარდაქმნა და გამოყენება იმგვარად, რომ არ დაექვემდებაროს იდენტიფიკაციას, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული.“ ცოტა განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული ინტერპოლის 1993 წლის საინფორმაციო ბიულეტენებში - „თავისი არსით ფულის გათეთრება არის მეთოდი, რომლის მიზანია უკანონო ქმედებების შედეგად მიღებული ფულით მაქინაციების წარმოება იმგვარად, რომ შედეგად მათი მიღების წყარო აღმოჩნდეს კანონიერი.“¹⁵

საერთაშორისო სამართალში ტერმინი „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია“ პირველად მოცემულ იქნა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის გაეროს ვენის კონვენციაში. კონვენციის მიხედვით, შემოსავლის ლეგალიზაციაში იგულისხმება ქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელსაც თან ახლავს ქონების (ფულადი სახსრების და სხვა ქონების) ჭეშმარიტი სახის (წარმომავლობის) დათარვა, კერძოდ: - „კონვერსია ან გადაცემა ქონებისა, თუ ცნობილია, რომ ეს ქონება მიღებულია სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების შედეგად ან სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად, იმ მიზნით, რომ დაითაროს ან შეინიღბოს შემოსავლის უკანონო წყარო, ან იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს ნებისმიერ პირს, რომელიც მონაწილეობს

¹⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

¹⁵ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000576/Asanidze%20S%2B.pdf?fbclid=IwAR3paSQdZOHIMmrDKfkyyxQQcHoQ67ymRdt01MmstRQwIxE7UKcZjGdU7Wog>

ასეთ სამართალდარღვევაში, რათა მან თავი აარიდოს პასუხისმგებლობას თავისი ქმედებებისათვის; - შეძენა, ფლობა ან გამოყენება ქონებისა, თუ მისი მიღების მომენტში ცნობილი იყო, რომ ეს ქონება მიღებულია სამართალდარღვევის შედეგად, ან ასეთ სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად.”¹⁶ „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” 1990 წლის ევროპის საბჭოს სტრასბურგის კონვენციით ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია განსაზღვრულია: „ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს, მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში; - ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი; - ქონების შეძენა, ფლობა და გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს შემოსავალს; - ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისათვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, ნაქეზება, ხელშეწყობა და რჩევების მიცემა.”¹⁷ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმარტება, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში იყო მოცემული, ფაქტობრივად სრულად აისახა FATF-ის რეკომენდაციებში. ამ რეკომენდაციების თანახმად, ფულის გათეთრება - ეს არის „რეალიზაცია ან გადაცემა ქონების, განზრახ მიღებულის დანაშაულებრივი გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან დაიმალოს მათი უკანონო წარმომავლობა; ან ხელშეწყობა

¹⁶გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (ვენის) კონვენცია. 1988. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва, მუხლი მე-3.

¹⁷ ევროპის საბჭო. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ (სტრასბურგის) კონვენცია. 1990.

პირისათვის, რომელიც მონაწილეობს ერთ ან რამდენიმე ასეთ დანაშაულში, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას შესაბამისი ქმედებების ჩადენისათვის.” ამ განსაზღვრებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ფულის გათეთრება განისაზღვრება, როგორც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის მეთოდი, ხოლო მიზანი, შემდგომში ამ შემოსავლების ლეგალურად გამოყენებაა. საინტერესოა ასევე ცალკეულ მკვლევართა შეხედულებები ფულის გათეთრების არსთან დაკავშირებით ¹⁸.

ბ.ბ. კერნერის და ე. დახის კვლევებში შემოსავლების ლეგალიზაციაში იგულისხმება: „ყველა ოპერაცია, განხორციელებული იმ მიზნით, რომ შეინიღბოს ან დაიფაროს დანაშაულებრივი ქონებიდან რეგულარული შემოსავლების მიღება.” გერმანელი ავტორი კლაუს კოტკე ფულის გათეთრებაში გულისხმობს ზოგადკრიმინალური და სხვაგვარი სამართალდარღვევებით მიღებული შემოსავლების გამოყენების პროცესს. დ.ა. ბრანდოლინისა და მ. ბეკნერის აზრით, „...ტერმინი „ფულის გარეცხვა” თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, რომელთა დახმარებითაც დამნაშავეები ნიღბავენ უკანონოდ მიღებული ფულის წყაროს, წარმოშობას და საკუთრების უფლებას, ისეთ გარიგებებში მონაწილეობით, რომლებიც ამ ფულს წარმოაჩენს კანონიერი წყაროებიდან მიღებულად. სწორედ აქედან წარმოიშვა ტერმინი „გარეცხვა,” ე.ი. ფულის გადაქცევა სუფთად (კანონიერად) და ისეთად, რომ შეუძლებელი იყოს მისი წარმომავლობის დადგენა.”¹⁹ საინტერესოა ასევე ცალკეულ რუს მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ფულის გათეთრების დეფინიციები. მაგალითად, ვ.დ. ლარიჩევის ფორმულირებით, ეს არის „პროცესი, რომლის დროსაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული „შავი” ფული, როგორც წესი, ნაღდი ფორმის, გაედინება საბანკო სისტემის მეშვეობით იმგვარად, რომ ხდება „სუფთა,” ანუ მას მიეცემა ვითომდა კანონიერი სახე და შეუძლებელია იმ პირის დადგენა, რომელიც არის გარიგების ინიციატორი, ასევე ამ სახსრების უკანონო წარმომავლობის დადგენა.”²⁰

¹⁸ Международноправовые основы борьбы с коррупцией и отмыыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва, муხლი С-6.

¹⁹ Киселев И. А. 2009. Грязные деньги. Москва: Юриспруденция. С-9.

²⁰ . Solongo D. 2004. Russian Capitalism and Money-Laundering. New York, C-10.

მართალია, ავტორის მიერ ლეგალიზაციის არსი ასახულია, მაგრამ იმავდროულად ხელოვნურად არის შევიწროებული მისი საგანი და მეთოდი. ამ კატეგორიის დანაშაულის დიდი ნაწილი, დაკავშირებული კორუფციასთან, თაღლითობასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან არ არის ჩადენილი ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროში, ხოლო დამნაშავეების მიერ გამოყენებული ფულის გათეთრების ფორმები და მეთოდები არ ამოიწურება მხოლოდ საბანკო სფეროში განხორციელებული ოპერაციებით.

მ.ნ. ზაცეპინი შემოსავლების ლეგალიზაციას განსაზღვრავს, როგორც „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებრივი ფასეულობების ჩართვას ნორმალურ ეკონომიკურ ბრუნვაში, რათა დაიფაროს მათი წარმომავლობა.“²¹ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ცალკეული კონკრეტული ნიშნები მოყავს ნ.ა. ლოპაშენკოს, რომლის აზრითაც „ფულის გათეთრება არის პროცესი, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიის ან ეტაპისაგან, კონკრეტული ფინანსური ოპერაციებისა და გარიგებების ფორმით გამოხატული თანამიმდევრული ქმედებებისაგან, რომელთა მიზანია დანაშაულებრივი სახსრების ნორმალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და ამ სახსრების წარმომავლობისთვის კანონიერი სახის მიცემა. აღნიშნული აუცილებელია დამნაშავესათვის სახსრების ლეგალურ ბრუნვაში ჩასართველად და მათგან შემოსავლების მისაღებად.“²² ი.ვ. კოროტკოვის განსაზღვრებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის „სახსრების წარმომავლობის, ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, შემოსავლებზე საკუთრების უფლების ან სხვა უფლების განზრახ დაფარვის პროცესი – მათ შესახებ ინფორმაციის დამახინჯების გზით; მოცემულ სამართალდარღვევაში თანამონაწილეობა იმ მიზნით, რომ უკანონო შემოსავლები შემდგომ იურიდიულად კანონიერი სახით, სხვადასხვა ფორმით (მოძრავი ან უძრავი ქონების შექმნა, ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ინვესტირება და ა.შ.) ჩართულ იქნას ოფიციალურ ეკონომიკურ ბრუნვაში.“²³ ა.ა. შებუნოვის აზრით, უკანონო შემოსავლის

²¹ Solongo D. 2004. Russian Capitalism and Money-Laundering. New York, გვ - 10.

²² Лопашенко Н. А. 1997. Преступления в сфере экономической деятельности. Дис. доктора юридических наук. Москва, გვ - 21.

²³ Коротков И. В. 2004. Уголовно-правовые и криминологические аспекты борьбы против легализации (отмывания) незаконных доходов. Дис. Кандидат юридических наук. Москва, გვ - 27.

ლევალიზაცია არის „ერთი ან მეტი პირის მიერ განზრახ განხორციელებული ქმედება, რომლის შედეგადაც ან რომლის ჩადენის პროცესშიც დანაშაულებრივი ან უკანონო წარმოშობის ქონებრივი ფასეულობები (ფული, ნივთები და ა.შ.) გარდაიქმნება კანონიერად, ანუ იქმნება ამ ფასეულობების შეძენისა და ფლობის (განკარგვის) კანონიერების ილუზია.“²⁴ ვ.მ. ალიევის აზრით, ფულის გათეთრება, ეს არის „...ნეგატიური სოციალური მოვლენა, რომლის საფუძველიც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის პროცესია, ამ შემოსავლების წარმომავლობის ბუნების, ადგილმდებარეობის, მოძრაობის, მატერიალური კეთილდღეობის (საკუთრების უფლების) ან მათთან დაკავშირებული უფლებების ნამდვილი კუთვნილების შესახებ ინფორმაციის დამახინჯების გზით. ამასვე უთანაბრდება ამ შემოსავლებისათვის ნებისმიერი ფორმით სამართლებრივი სახის მიცემა, თუ პირისთვის ცნობილია, რომ ეს მატერიალური ფასეულობა უკანონო გზითაა მიღებული, ასევე სხვა ქმედებები, პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემოსავლების ფლობის, სარგებლობის, განკარგვის ფაქტობრივი ურთიერთობების მართლზომიერების გაფორმებასთან, ან მათი უკანონო წარმომავლობის დაფარვასთან.“²⁵

„უკანონო შემოსავლის ლევალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში უკანონო შემოსავლის ლევალიზაცია განმარტებულია, როგორც „უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედებების ჩადენის მცდელობა.“²⁶ ამ განმარტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი უმეტესწილად ასახავს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. ლევალიზაციის საგანი არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულებრივ შემოსავლებს, ამ ფორმულირების მიხედვით, სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცეულია ასევე ფულის გათეთრებისათვის ბაზისური სოციალური

²⁴ . Киселев И. А. 2009. Грязные деньги. Москва: Юриспруденция. 33 - 11.

²⁵ . Алиев В. М. 2001. Криминологическое и уголовно-правовое исследование легализации доходов добытых преступным путем. Москва. 33 - 16.

²⁶ . საქართველო. პარლამენტი. კანონი: უკანონო შემოსავლის ლევალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. 2003 წლის 6 ივნისი #2391

მოვლენა - სხვა სამართალდარღვევებიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია. ამასთან, განსაზღვრებაში მითითებულია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის შექმნა, გამოყენება, გადაცემა თუ სხვა მოქმედება, არამედ ასევე ხაზგასმულია მისი ნამდვილი წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა, რაც თავისთავად „ბოროტების საფუძველია.“ აქვე გთავაზობთ, ამ განმარტების უფრო სრულყოფილ შემდეგ ვარიანტს: უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია („ფულის გათეთრება“) არის უკანონო გზით მიღებული (მოპოვებული/შექმნილი) ქონების წარმოშობის (ნამდვილი) წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის (შეტანის) გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების (მოპოვება/შექმნის) ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა. შემოთავაზებული დეფინიციის მიხედვით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პირის მიერ განხორციელებული განზრახი ქმედებაა, გამოკვეთილია ფულის გათეთრების საგანი, მისი მეთოდი და მიზანი, ასახულია მართლსაწინააღმდეგო აქტი, ხაზგასმულია მისი ანტისაზოგადოებრივი მიმართულება.

ფულის გათეთრების განმასხვავებელი ნიშანი მართლსაწინააღმდეგოდ მიღებული სახსრებისათვის კანონიერი წარმომავლობის სახის მიცემაა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, როცა შენიღბულია მიღების (წყაროს) უკანონო ხასიათი (ბუნება), მაგრამ არ იმალება მათი არსებობის ფაქტი. ამაში გამოიხატება ლეგალიზაციის მიზნის ორსახოვნება – უზრუნველყოფილ იქნეს უკანონო შემოსავლის თავისუფალი გამოყენება და, ამავდროულად, მათი მართლსაწინააღმდეგო შექმნის ფაქტის დამალვა. ამით ფულის გათეთრება განსხვავდება სხვა დანაშაულებისაგან, როცა დანაშაულის ჩადენის მსგავსი მეთოდები გამოიყენება (მაგალითად, როდესაც კრიმინალური შემოსავალი გადის კანონის მხედველობის არედან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიფაროს დანაშაული).

გათეთრების პროცესში ხდება შემოსავლის ნამდვილი წყაროს დამალვა, რეალური

გარიგებების ფორმალურით შეცვლით, მაგ. დამამონწებელი დოკუმენტების გაყალბებით, მესამე პირთა დოკუმენტების გამოყენებით და მისთ. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ფულის გათეთრებისთვის ხშირად ოფშორულ ზონებს იყენებენ, ეს არის ქვეყნები ე.წ. საგადასახადო სამოთხით, სადაც საბანკო სისტემებში ბენეფიციარების კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია.

ამგვარ დანაშაულს, შესაძლოა დიდწილად ადგილი ქონდეს საბანკო სისტემაში, საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს ჭარბვალიანობის პრობლემა. ხშირ შემთხვევაში, ვინაიდან ვალის დროულად დაბრუნება ვერ ხერხდება, მოვალე სრულყოფილად ვერ აცნობიერებს, რასთან შეიძლება ქონდეს საქმე მას, რადგან ბანკი მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში და იყენებს ყველა გზას ვალის დასაბრუნებლად. აქ შესაძლოა სახეზე გვექონდეს იმაზე მეტი მოთხოვნა, რაც რეალურად გააჩნია მოვალეს, რადგან მხარეები მოქმედებენ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, შესაძლოა ხშირად ამ უფლების არასწორ ინტერპრეტაციასთან გვექონდეს საქმე და უკანონო დაუსაბუთებელი შემოსავალთან, რაც რა თქმა უნდა, არაჯანსაღ და არათანაზომიერ მდგომარეობაში აყენებს ხელშემკვრელ მხარეებს და აზიანებს და ვნებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას და განვითარებას. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში საბანკო სექტორი, სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, იყენებს მოვალის უძრავ-მოძრავ ქონებას, შესაბამისად, როდესაც ვალდებულება ვერ სრულდება, ამოღება ხორციელდება უზრუნველყოფილი ქონებიდან. ამ შემთხვევაში, რადგან არ გვაქვს ეროვნული ბანკის მიერ განწერილი სწორად მოქმედებათა თანმიმდევრულობა, არასაკმარისია ზედამხედველობაც, დაუცველად გვევლინება მოვალე, ვინაიდან მას აკისრია მტკიცების მძიმე ტვირთი, რომ გაჩნია X დავალიანება და არა XY. მკითხველისთვის, რომ გასაგები იყოს, თუ სად შეიძლება იმალებოდეს უკანონო შემოსავალი, მაგალითისთვის შემოგთავაზებთ ასეთ მსჯელობას: 2007 წელს შელიამ, მიმართა სს „...ბანკს“, რომლისგანაც ისესხა 50 000 აშშ დოლარი 10 წლის ვადით, 18.5 %-ში. შელიას 2010 წლამდე არ დაურღვევია სესხით გათვალისწინებული გრაფიკით

ვალდებულების დაფარვა, თუმცა 2010 წლის ნოემბრიდან მან ვერ შეძლო გრაფიკით გათვალისწინებული თანხის გადახდა, რის გამოც ბანკმა გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები: მიმართა დამოუკიდებელ არბიტრაჟს, უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციის და მოვალისადმი თანხის დაკისრების მოთხოვნით. თუმცა საინტერესოა სწორედ, რა ოდენობის თანხის დაკისრებით მიმართა ბანკმა არბიტრაჟს და სინამდვილეში რა მოთხოვნით უნდა მიემართა, მაშინ როდესაც მოვალეს დარჩენილი ქონდა გადასახდელი 28 000 აშშ დოლარი, ბანკმა მოითხოვა 32 000 აშშ დოლარის დაკისრება. გაურკვეველია თუ, რატომ განახორციელა მან ეს ქმედება და სინამდვილეში, როგორ უნდა დაადასტუროს მხარემ, რომ მას გადასახდელი აქვს არა 32 000 აშშ დოლარი, არამედ 28 000 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც ბოლოს გადახდილი ოპერაციები შესაძლოა მოულოდნელად გაქრეს, არ აისახოს სესხით გათვალისწინებულ გრაფიკში. დოკუმენტში, რომელიც წარდგენილია არბიტრაჟში, არ ფიქსირდება, რომ მოვალეს სექტემბერ - ოქტომბერში გადახდილი აქვს სხვაობა - 4 000 აშშ დოლარი. როგორ უნდა დაიცვას თავი მოვალემ, თუ მას არც იმის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს, რომ თანხა გადაიხადა და ბანკიც თავს არიდებს აღნიშნული დოკუმენტის გაცემას, იმის გამო, რომ ასეთი რამ არ ფიქსირდება სისტემაში? ერთი მხრივ. მოვალეს აკისრია ვალდებულება დაადასტუროს, რომ გადახდილი აქვს 4000 აშშ დოლარი და მეორე მხრივ, ბანკმა კეთილსინდისიერად უნდა ასახოს ყველა ის ოპერაცია, რომელსაც კლიენტები ახორციელებენ, თანხის შეტანის გზით. რეალურად, შესაძლოა ასეთი პრობლემები ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს, ან მომავალში გაჩნდეს. ბუნებრივია, თუ მოვალე ვერ დაადასტურებს, რომ გადახდილი აქვს თანხა, უპირობოდ დაკმაყოფილდება ბანკის მოთხოვნა, რადგან საზოგადოება არაინფორმირებული და დაუცველია. მსგავს შემთხვევებში საჭიროა სწორი მექანიზმის შემუშავება და საზოგადოების ინფორმირებულობა, რათა თავიდან ავიცილოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ანუ ბანკი იღებს, იმ შემოსავალს, რაც არ უნდა მიიღოს, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარე სისუსტის გამო სერიოზულ ზიანის განიცდის, რაც ეკონომიკურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. გარდა

აღნიშნული მაგალითისა ხშირია, შემთხვევები როდესაც მოქალაქეებს განულებული ვალის დაბრუნებას სთხოვენ. ეროვნულ ბანკს ევალება საბანკო სექტორზე ზედამხედველობა, თუმცა როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, ეროვნული ბანკი ან ვერ ახორციელებს ზედამხედველობას, ან გაზრახ არ ახორციელებს. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გააზრებული რეაგირება, რათა ქვეყნის განვითარება არ შეფერხდეს. ეს მიზანი ქმნის საჭიროებას, შევიმუშავოთ თანამედროვე მიდგომები და სხვადასხვა ღონისძიებები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რომელიც დაეყრდნობა კვლევას და იქნება უფრო ეფექტიანი აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრისათვის.

ჯ. მაღინგერის აზრით, ფულის გამთეთრებლების საბოლოო მიზანია ასეთი გზით მიღებული შემოსავლების თავისუფლად განკარგვა, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების კომბინაციით.²⁷

ჯ. ტრეჰანმა აღნიშნა, რომ შავი ფულის გათეთრება არის სახსრების შენიღბვის მცდელობა, რომელსაც ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა და სხვა ქვეყნებიდან რთულად იდენტიფიცირებადი წყაროს მქონე ინვესტიციების შემოდინება. ის ასევე აღნიშნავს, რომ ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდებიან შავი ფულის გათეთრების მაღალი დონით.²⁸

მ. მილენოვიჩის აზრით, შავი ფულის გათეთრება არის ორგანიზებული დანაშაულის სახე, რომელიც არ შეიძლება, განიხილებოდეს ცალკეული ქვეყნის პრობლემად. ქვეყნისათვის შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ სხვადასხვა მეთოდების მიღება კი, როგორცაა ფულის გამთეთრებლებთან, კრიმინალთან, ორგანიზებული კრიმინალური თუ ტერორისტული დაჯგუფებებისა და მათი წევრების შესახებ შავი სიის, ისევე, როგორც სხვადასხვა სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის არსებობა, ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის პრევენციას.²⁹

²⁷Madinger J., Money Laundering a Guide for Criminal Investigators, 2011, http://shodh.inflibnet.ac.in/bitstream/123456789/3140/3/03_literature%20review.pdf

²⁸Trehan J., Crime and Money Laundering: The Indian Perspective, 2004, http://shodh.inflibnet.ac.in/bitstream/123456789/3140/3/03_literature%20review.pdf

²⁹ Milenovic M., Research Paper on Money Laundering, Pulse Magazine On Corruption, Centre For Management,

ბ. ჩენგის მოსაზრებით, შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის დროსაც ერთობლივი დაჯგუფება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ცდილობს შემოსავლის რეალური წყაროს დამალვას, თუმცა აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების გამოყენებით, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვითაც.³⁰ ჯ. რობინსონმა ხაზი გაუსვა შავი ფულის გათეთრების არსს და გამოკვეთა მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. მისი აზრით, შავი ფულის გათეთრება არის აქტივობათა კომპლექსი, რომელიც სცდება ადგილობრივ საზღვრებს.³¹ გ. სმიტისა და ჰ. ვოლკერის აზრით, შავი ფულის გათეთრების მთავარი არსი არის მისი გამოყენების კანონიერი უფლების მოპოვება, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამასთანავე, გათეთრებლები იყენებენ, როგორც საბანკო ოპერაციებს, ასევე, ნაღდ ფულს.³²

გ. პემბერტონის აზრით, შავი ფულის გათეთრების პრობლემა არსებობს და ეს მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. კრიმინალები კარგად ფლობენ ინფორმაციას შავი ფულის გათეთრების შესახებ და მის მინიმალურ დონემდე დასაყვანად გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს.³³

მ. სილკმენისა და ვ. იოვანოვიჩის მოსაზრებით, შავი ფულის გათეთრება არის აქტივობათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია წყაროს რეალური არსის შესანიღბად. ამასთანავე, პროცესებში ჩართულნი არიან არამხოლოდ კრიმინალები, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, პრობლემის კომპლექსურად შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება. სმიტისა და დ. ერიქსონის მოსაზრებით კრიმინალისტები გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს არალეგალური წყაროს შესახებ რეალური ინფორმაციის

Belgrade, 2004, P.1-6

³⁰ 1Cheng N., the Effectiveness of Money Laundering Investigations in Fighting Transnational Crime: A Comparison of the United States and Hong Kong, 2012, P.6-7

³¹ 2Robinson J., The Laundrymen: Inside Money Laundering, The World's Third-Largest Business, Arcade Publishing, New York, 1998, P.4

³² Russell G., and Walker J., the Illegal Movement of Cash and Bearer Negotiable Instruments: Typologies and Regulatory Responses, 2010, <https://aic.gov.au/publications/tandi/tandi402>

³³ Pemberton G., Royal Canadian Mounted Police, Vancouver Integrated Proceeds Of Crime Section, Money Laundering In Securities Markets, 2000, P.1-2

შესანიღბად. აღნიშნულისათვის გამოიყენება როგორც პერსონალი, ასევე, ოფშორული ზონები და სხვადასხვა კვალიფიკაციის ინდივიდები.³⁴

დ. ჯელიკოს კვლევის მიხედვით, შავი ფულის გათეთრების აქტივობები ჯგუფური დანაშაულის ხასიათისაა, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანოების გაძლიერება, ფინანსური და სხვა სისტემების დანერგვა, განახლება და შიდა მაკონტროლებელი ორგანოების დატრენინგება აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად.³⁵

გერმანელი ავტორი კ. კოტკე შავი ფულის გათეთრებაში გულისხმობს სხვადასხვა სამართალდარღვევით მიღებული შემოსავლების გამოყენების პროცესს.³⁶

ა.ვ. კოროტკოვის განსაზღვრებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის “სახსრების წარმომავლობის დაფარვის პროცესი იმ მიზნით, რომ უკანონო შემოსავლები კანონიერი სახით, მოძრავი ან უძრავი ქონების შეძენის, ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ინვესტირებით და სხვა მეთოდების გამოყენებით ჩართულ იქნას ეკონომიკურ ბრუნვაში ოფიციალური სახით.”³⁷

ი კ. ჰინტერსერის მიხედვით, ტერმინი “შავი ფულის გარეცხვა” გულისხმობს სხვადასხვა მეთოდს, რომელთა დახმარებითაც დამნაშავეები ნიღბავენ უკანონოდ მიღებული შავი ფულის წყაროს და საკუთრების უფლებას ისეთ გარიგებებში მონაწილეობით, რომლებიც ამ ფულს წარმოაჩენს კანონიერი წყაროებიდან მიღებულად.³⁸

დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ცალკეული კონკრეტული ნიშნები მოჰყავს ნ. ა. ლოპაშენკოს, რომლის აზრითაც, “შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომელიც

³⁴ Smith, S. L., And Ericson D., Money Laundering Monitor, U.S. Department Of Justice, Criminal Division, Asset Forfeiture & Money Laundering Section, 2008, P.3

³⁵ 7Zeljkdj B., Contemporary Tendencies in Money Laundering Methods: Review of the Methods and Measures for Its Suppression, 2011, P.10, 15-17

³⁶ Kottke K., Schwarzgeld- Was Tun? Handbuch Für Das Scharzgeld-Steuerrecht; Entstehung, Unterbringung, Aufdeckung, Legalisierung Von Unversteuerten Geldern. Häufe, Freiburg, 1999, P.26-27

³⁷ Коротков И. В., Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты Борьбы Против Легализации (Отмывания) Незаконных Доходов, 2004, С.54-62

³⁸ 1Hinterseer K., The Wolfsberg Anti-Money Laundering Principles, Journal Of Money Laundering Control, 2001, P.25-

შედგება რამდენიმე ეტაპისაგან: ფინანსური ოპერაციებისა და გარიგებების ფორმით გამოხატული თანამიმდევრული ქმედებებისაგან, რომელთა მიზანია დანაშაულებრივი სახსრების არაჩრდილოვან ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და ამ სახსრების წარმომავლობისთვის კანონიერი სახის მიცემა.³⁹ განმარტებები უმეტესწილად ასახავენ პრობლემის ძირითად შინაარსს. თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობა გათეთრების პროცესს. მ.ნ. ზაცეპინი შემოსავლების ლეგალიზაციას განსაზღვრავს, როგორც “დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებრივი ფასეულობების ჩართვას ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში, რათა დაიფაროს მათი წარმომავლობა.⁴⁰ საინტერესოა, ასევე ნ. კეპულაძისა და რ. სულამანიძის ნაშრომი თემაზე “უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია-შავი ფულის გათეთრება”. აღნიშნული ნაშრომი ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად და ტერმინის დაზუსტების აუცილებლობას⁴¹.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორის ს. ასანიძის შეხედულებით “უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია არის უკანონო გზით მიღებული ქონების წარმოშობის წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის გზით, რათა დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა.⁴²

გათეთრებული შავი ფული წარმოადგენს შენიღბულ, წარმომავლობა დაკარგულ სახსრებს, რომელიც მიღებულია არალეგალური საქმიანობიდან, ხოლო საბანკო სისტემის გამოყენებით გადანაწილებულია რამდენიმე ანგარიშზე. ამასთანავე, აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით, განხორციელდა რიგი ოპერაცია, გარიგება, რათა უკანონოდ მიღებული

³⁹ 2.Лопашенко А., Преступления В Сфере Экономической Деятельности, 1997, С.359-363.

⁴⁰ Зацепин М.Н., Безопасность Предпринимательства: Криминологические И Уголовно-Правовые Проблемы. Екатеринбург. 1995. С.192

⁴¹ 4.კეპულაძე ნ., სულამანიძე რ., უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია-შავი ფულის გათეთრება, 2015, გვ.4-5

⁴² ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (შავი ფულის Gგათეთრების) კრიმინოლოგიური დახასიათება, 2012, გვ.22

სახსრები აღრეულიყო კანონიერ სახსრებში.⁴³ მოცემულ განსაზღვრებაში ზუსტად არის წარმოდგენილი ფულის გათეთრება, როგორც პროცესი, თუმცა, აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ფულადი სახსრების გათეთრებაზე და არ არის ნახსენები, რომ ასევე შესაძლებელია არაფულადი სახსრების გათეთრებაც. ვ.ა. ტარანი შავი ფულის გათეთრებას განიხილავს, როგორც პროცედურებს, რომლის შედეგად შავი ფული საბანკო დაწესებულებებსა თუ სხვა საკრედიტოფინანსურ სფეროებში გაივლის იმ მიზნით, რომ მათ საბოლოო სტადიაზე მიეცეთ კანონიერი შემოსავლის სახე. ⁴⁴ ავტორები არ ამბობენ ეკონომიკური საქმიანობის სექტორებს, რომლებიც გამოიყენება უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისათვის. მ. ლევი აღნიშნავს, რომ შავი ფულის გათეთრება არის კრიმინალური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების გამოყენებით, მათ შორის, ვალუტის გადაცვლით. სახსრები მიღებულია ძარცვით, კორუფციით, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვით და სხვ. გათეთრების საბოლოო მიზანს კი არსებული სახსრების სუფთა ფულად გარდაქმნა წარმოადგენს. მ. ლევი შავი ფულის გათეთრების პროცესებისთვის ითვალისწინებს მხოლოდ ფინანსურ ოპერაციებს და სწორედ აქ ვლინდება აღნიშნული განმარტების ნაკლოვანება. რეალურად, დამნაშავეთა დაჯგუფება საკუთარ ინსტრუმენტებად ლეგალიზაციისათვის გამოიყენებს არასაფინანსო სექტორებსაც. ს. გ. ლოვკის მიხედვით, „უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრების პროცესი გულისხმობს სხვადასხვა სფეროების გამოყენებით უკანონო სახსრებისათვის ლეგიტიმური სტატუსის მინიჭებას“. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლეგალიზაცია მოიცავს უკანონო შემოსავლების კანონიერ ეკონომიკურ საქმიანობებში ჩაშვებას, თუმცა, არ არის მოცემული მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ხდება ამ შემოსავლების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა და ლეგიტიმური სტატუსის მინიჭება. ვ. ა. ნიკულინის პოზიციით, უკანონო საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაცია “წარმოადგენს”⁴⁵

⁴³ U.S. Congress Office of Technology Assessment, Information Technologies for Control of Money Laundering, Washington, Dc: U.S. Government Printing Office, September 1995. P.12-16

⁴⁴ Щегорцев В.А., Таран. В.А., Мировая Экономика, Мировая Финансовая Система, Международный Финансовый Контроль, 2005, С.345

⁴⁵ Larry B., Lambert. Underground Banking and National Security, California, 1996, P.3

მატერიალური ღირებულების მქონე აქტივებისათვის კანონიერი ფორმის მიღების საბოლოო ეტაპს”.

46

აღნიშნული განსაზღვრებიდან გამომდინარე, ვ. ა. ნიკულინი ითვალისწინებს უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის მხოლოდ უკანასკნელ სტადიას, იმ დროს, როდესაც თვით პროცესი მრავალეტაპიან პროცედურას წარმოადგენს. ვ. უ. ემი თვლის, რომ “გათეთრების პროცესი სრულდება უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემით, როდესაც უკვე შესაძლებელი ხდება მიღებული არალეგალური შემოსავლების კანონიერად გამოყენება”.⁴⁷ ანალოგიურ პოზიციას ეფუძნება კ. ვ. ტეტიუკოვიც⁴⁸ აღნიშნული განსაზღვრებები არ მოიცავს უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის ყველა ეტაპს. თუ აღნიშნული განსაზღვრებით ვიხელმძღვანელებთ და არ მიმოვიხილავთ შავი ფულის გათეთრების საფეხურებს, აღნიშნული პროცესის გამოკვლევისას დამნაშავის მიმართ პასუხისმგებლობის აღძვრა რთული იქნება.

1984 წელს აშშ-ში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით შემდგარ საპრეზიდენტო კომისიაზე გამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულირება: “შავი ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება მისი არსი, უკანონო წარმომავლობა ან უკანონო შემოსავლების გამოყენება იმ მიზნით, რომ არალეგალურად მიღებული შემოსავლები შეინიღბოს ისე, რომ მას საბოლოოდ კანონიერი წარმომავლობა მიეცეს”.⁴⁹

1.3 დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების გამოყენების მიზნები.

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიზნებისათვის: 1) დამნაშავეთა და მათი გარემოცვის მიმდინარე ხარჯების (დანაშაულთა

⁴⁶ Никулина В.А., Правовые Аспекты Соучастия В Легализации Незаконных Доходов, 2000, С.17

⁴⁷ Эм В.Ю., Уголовно-Правовая И Криминологическая Характеристика Легализации (Отмывания) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2004, С.9

⁴⁸ Тетюков К.В., Легализация Преступных Доходов Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты, 2003, С.18

⁴⁹ William R., Schroeder, Money Laundering. A Global Threat And The International Community's Response, FBI Law Enforcement Bulletin, 2001, P.1-7

ორგანიზებასა და მოხმარებაზე განეული ხარჯები) დათარვა; 2) დაგროვება (ნაღდი ფულის, ძვირფასეულობის, სხვა ფუფუნების საგნების და სხვ.); 3) დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება (საქმიანობის ძირითადი სახეობის გაფართოება და მისი დივერსიფიკაცია); 4) ინვესტიციები ლეგალურ ეკონომიკაში (ფინანსურ ბაზარზე განთავსება, უძრავი ქონების შეძენა და სხვ.). ცხადია, რომ მითითებული მიზნების რეალიზაციის პროცესში დანაშაულებრივი შემოსავლები გარკვეულ ცვლილებებს განიცდის – იმ ოპერაციების ობიექტი ხდება, რომელთა მსვლელობისას ეს შემოსავლები მეტ-ნაკლებად ხვდება ლეგალური ფინანსური სისტემის მოქმედების სფეროში. თუ ასეთი შემოსავლები მიღებულია ნაღდი ფულის სახით (მაგალითად, ნარკოტიკებით ქუჩაში ვაჭრობით) და დაგეგმილია მათი გამოყენება შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფინანსებლად (ნარკოტიკების ახალი პარტიის შეძენა), შემდგომი ფინანსური ოპერაციების განხორციელება რომ მოსახერხებელი იყოს, როგორც წესი, საჭიროა ბანკნოტების გაცვლა (წვრილი ნომინალის უფრო მსხვილზე გადაცვლა) ან მათი საბანკო დანესებულებაში განთავსება.

უკანონოდ მოპოვებული ქონება შესაძლოა გამოყენებული იქნას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამგვარი მოვლენები დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგია და სურვილი ამგვარ დანაშაულთან საბრძოლველად.

თავი II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობა.

2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა

სანამ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტის საკითხს შევეხებით, მოკლედ განვიხილოთ ქმედების „ობიექტის“ ცნება, რათა მკითხველმა იცოდეს, რა მნიშვნელობით გამოიყენება იგი. გ. მამულაშვილი „ობიექტის“ ცნების განსაზღვრას სისხლისსამართლებრივი

პოლიტიკის ამოცანებს უკავშირებს. ის აღნიშნავს: „ფულის გათეთრება მოთავსებულია სსკ-ს XXVI თავში – დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, თუმცა „ფულის გათეთრება“ არის დანაშაულის დაფარვის ფორმა და, შესაბამისად, არ უნდა იყოს მოთავსებული XXVI თავში. განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ურთიერთგანსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით: რომელია პრიორიტეტული იმ სიკეთეთა შორის, რომლის დასაცავადაც დადგენილია სისხლის სამართლის ნორმა – სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესი (ეკონომიკური უსაფრთხოება), მართლმსაჯულების ინტერესი (დამნაშავის დევნა), მთლიანად ეკონომიკური სისტემა, თუ მისი ცალკეული სფერო, ლეგალური სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა, ფულად-საკრედიტო სისტემა, საფინანსო სისტემა და სხვ. ამ საკითხზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. ვფიქრობ, ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტი სერიოზულ გააზრებასა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს“.⁵⁰

მ. ტურავა იზიარებს ადრეული ლიბერალიზმის კონცეფციას, რომელიც გერმანულ დოქტრინაში ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში და განვითარდა ი. ბაუმანის, უ. ვებერის და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში. ის აღნიშნავს: „სამართლებრივი სიკეთე უნდა განვასხვავოთ კონკრეტული ქმედების ობიექტისაგან, რომელსაც წარმოადგენს, მაგალითად, „ადამიანი“ სსკ-ს 108-ე მუხლში, „სხვისი მოძრავი ნივთი“ სსკ-ს 177-ე მუხლში, „დოკუმენტი“ სსკ-ს 362-ე მუხლში და ა. შ. კ. კ. იემეკისა და თ. ვაიგენდის მიხედვით, სამართლებრივი სიკეთე და ქმედების ობიექტი არის, როგორც იდეა და მისი გამოვლენა. მათ შორის დამოკიდებულება ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებულია. არსებობს სამი სხვადასხვა მიდგომა ... ასე მაგალითად, ქურდობის (სსკ-ს 177-ე მუხლი) ქმედების ობიექტია „სხვისი მოძრავი ნივთი“, მაგრამ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს „საკუთრება“ და „მფლობელობა“. ასევე ყალბი დოკუმენტის დამზადების დროს ქმედების ობიექტია გაყალბებული დოკუმენტი

⁵⁰ მამულაშვილი გ. (2012) უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბ.გვ 756-757.

(სსკ-ს 362-ე მუხლი), მაგრამ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს მმართველობის დადგენილი წესი. საფრთხის დელიქტებში სამართლებრივი სიკეთე ანუ სამართლებრივი დაცვის ობიექტი და ქმედების ობიექტი, ზოგიერთ შემთხვევაში, ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში, მაგალითად, როდესაც ხდება ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (სსკ-ს 280-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და იქმნება ადამიანთა სიცოცხლის ან სხვა სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფის აბსტრაქტული საფრთხე.⁵¹

გ. მამულაშვილის პოზიციით, ქმედების ობიექტია „სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესი“ და ამ მნიშვნელობით არის „დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი“. ნაშრომში „ობიექტის“ ცნებას ამ მნიშვნელობით გამოვიყენებთ. თანამედროვე პირობებში ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მნიშვნელობა. საშიში მასშტაბები შეიძინა ტერორიზმმა, რომლის დაფინანსებისას დაახლოებით ისეთივე ხერხები და მეთოდები გამოიყენება, როგორც დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებისას. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა იმის შეგნება, რომ დამნაშავეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებების გარეშე შეუძლებელია ფინანსური მიმართულებით მართლწესრიგის განმტკიცება, ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია, სხვა ქვეყნების განვითარებულ ეკონომიკებთან სრულფასოვანი პარტნიორობა. უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალ ქვეყანაში საბაზრო რეფორმების მხოლოდ ათწლეულის მიწურულს შეიქმნა დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების საწინააღმდეგო ქმედუნარიანი სისტემა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები, არ აქვთ საჭირო გამოცდილება. ამ სფეროში დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი რეგულირების ხანგრძლივმა არარსებობამ შეუძლებელი გახადა მდგრადი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სამცხნერო წრეებშიც ჯერჯერობით ვერ

⁵¹ ტურავა მ. (2011) სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. წიგნი 1. დანაშაულის მოძღვრება. თბ. „მერიდიანი“ გვ 22-23)

ჩამოყალიბდა საერთო შეხედულებები მრავალ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების საკითხებთან. გასაგებია, რომ ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ამ მოვლენის არსში გარკვევა უნდა უძღოდეს წინ. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქვეყნის დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეროვნული სტრატეგიის კონცეფცია მონოდებულია, პასუხი გასცეს რამდენიმე ნამდვილად კონცეპტუალურ კითხვას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია კითხვა: საკუთრივ რომელი სამართლებრივი სიკეთის დასაცავადაა მონოდებული დანაშაულებრივი (უკანონო) შემოსავლების ლეგალიზაციის ამკრძალავი ნორმა? ამ კუთხით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტის განსაზღვრის ცენტრალური საკითხია, გაირკვეს, რომელ პრიორიტეტულ სიკეთეს ხელყოფს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას თუ მართლმსაჯულების ინტერესს. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას მრავალი ქვეყნის მეცნიერები დეტალურად განიხილავენ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორცაა ქმედების ობიექტი. ობიექტის განსაზღვრის პრობლემა მეცნიერებაში დღემდე განსაკუთრებული დისკუსიის საგანია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ობიექტია სასაქონლო ბრუნვა.⁵² კერძოდ, რუსი მეცნიერის, ვ. ლარიჩევის, აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლის მიზანია სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის დაცვა ბრუნვაში დიდი მოცულობის უკონტროლო ფულადი სახსრების და სხვა ქონების შედინებისაგან, აგრეთვე იმ უკანონო ქმედებათა აღკვეთა, რომლებიც ლეგალური და არალეგალური სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გზით მოგების მიღებისკენაა მიმართული. ასეთი პასუხისმგებლობის შემოტანა ნიშნავს განზრახ არაკანონიერი გზით მიღებული ფულადი სახსრების, სხვა ქონების

⁵²<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf?fbclid=IwAR3BhGOrHdItICreeXMUNs3wOkpeLoe49pCEIUfMYRW4Kz5sEppZYtsPwdKk>, გვ 74.

ლევალური საფინანსო და ეკონომიკური საზოგადოებრივად საშიშად აღიარებას.⁵³

საპირისპირო მოსაზრების თანახმად, ძირითად ობიექტად სამენარმეო საქმიანობა უნდა გამოდიოდეს. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ გერმანელი მეცნიერი, ბ. ბრაუნინგი, დანაშაულის ობიექტად სამენარმეო და საბანკო საქმიანობას განიხილავს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ფულის და სხვა ქონების გათეთრება შეიძლება მოხდეს არა მარტო სამენარმეო საქმიანობის სფეროში, არამედ სხვა სფეროებშიც.⁵⁴

ფულის „გათეთრების“ ობიექტია არა სამენარმეო და სხვა საქმიანობა, არამედ სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის ქმედუნარიანობა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება პირველად გამოთქვა პროფესორმა გ. მამულაშვილმა გერმანიის და საფრანგეთის კანონმდებლობების ანალიზისას. ამ კუთხით იგი ყურადღებას შემდეგ გარემოებებზე ამახვილებს:

- გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ფულის გათეთრების ამკრძალავი ნორმა მოთავსებულია 21-ე თავში – „უმართლობით მოპოვებული ქონებრივი ღირებულებების დათარვა“. ამრიგად, ფულის გათეთრება მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. 261-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ნორმის დაცვის მიზანია მართლმსაჯულების ინტერესი, რაც, გაბატონებული მოსაზრებით, პრედიკატული დანაშაულის შედეგად დარღვეული ინტერესების დაცვასაც გულისხმობს.
- საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსს 1996 წელს დაემატა ცალკე თავი „ფულის გარეცხვის“ შესახებ (3241-ე–3249-ე მუხლები), რომელშიც „ფულის გათეთრება“ დანაშაულის დათარვაში დახმარების ფორმად არის მიჩნეული.⁵⁵ ამრიგად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარში უნდა მოთავსდეს, რადგან ის დანაშაულის დათარვაში დახმარების ფორმად უნდა იყოს მიჩნეული. პროფესორ ს. ასანიძეს მიაჩნია, რომ ეს საკითხი

⁵³ Волженкин Б. В. (1999) Экономические преступления. СПб. 111-120.

⁵⁴ Bräuning B. (2009) Ökonomie der Geldwäsche. Verlag: Kovac, J. 34.

⁵⁵ მამულაშვილი გ. (2012) უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბ, გვ 758.

პრობლემურია და სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ის აღნიშნავს: „მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტთან მიმართებით. სსკ 194-ე მუხლი მოთავსებულია XXVI კარში – ეკონომიკურ, კონკრეტულად კი სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უდავოდ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ხდება, თუმცა მითითებული სფეროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, როგორც ფულის გათეთრების ხელყოფის ძირითადი ობიექტის გამოყოფა, გარკვეულ ეჭვს სამართლიანად იწვევს“⁵⁶

ს. ასანიძის აზრით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისხლისსამართლებრივი არსი არ შემოიფარგლება ეკონომიკური ურთიერთობების სფეროზე ზემოქმედებით. ეს დანაშაული ასევე ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების დაფარვას, ამას გარდა, კონკრეტულ გარემოებაში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მორალს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ბუნებრივია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით. დამნაშავე თავს არიდებს პასუხისმგებლობას პრედიკატული ქმედებისათვის და აგრძელებს უკანონო გზით მიღებული ფასეულობის ფლობას. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ არის მიღწეული მართლმსაჯულების მიზნები. თუკი კანონმდებლის მიერ ეკონომიკური ურთიერთობები მიიჩნევა ხელყოფის ობიექტად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დანაშაულის ჩადენის მოტივად ასევე მითითებულ იქნას ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა, შემდგომი მოგების მიღების მიზნით (სხვა შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთ ხერხად/საშუალებად გამოდის მხოლოდ, რაც ამ მოვლენის არსს სრულად არ ასახავს). აქვე უნდა დავამატოთ, რომ გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით ფულის გათეთრება ტრანსნაციონალურ დანაშაულადაა განსაზღვრული. „მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგები მხოლოდ ერთ სახელმწიფოში არ

⁵⁶ ასანიძე ს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კრიმინოლოგიური დახასიათება - <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000576/>

ვლინდება. ტრანსნაციონალური ხასიათის გათვალისწინებით ის პირდაპირ აზიანებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს. არსებობს მოსაზრება, რომ მისი უშუალო ობიექტია სოციალური ურთიერთობები, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში კრიმინალური ქცევების აკრძალვის პრინციპს; ლეგალიზაციის მხოლოდ შიდა ეკონომიკური დანაშაულისათვის მიკუთვნება, რასაც ახლა აქვს ადგილი, სათანადოდ არ ასახავს ამ დანაშაულის სოციალურ საშიშროებას.

2.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა იმასთანაა დაკავშირებული, რომ ამგვარი ქმედების ჩამდენი პირი აცნობიერებს თავისი მოქმედებების ხასიათს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დანამდვილებითაა ინფორმირებული ფულადი სახსრების თუ სხვა ქონების არაკანონიერი წარმომავლობის შესახებ, ანუ განზრახ ახდენს შემოსავლების ლეგალიზაციას. ეს საკითხი მეცნიერთა მიერ ერთმნიშვნელოვნად გადანყვეტილი არ არის.⁵⁷

იურიდიულ-ტექნიკური თვალსაზრისით აღნიშნული მოდელის რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა. ქვეყნების ერთი ჯგუფის (ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ლატვია და სხვ.) სისხლის სამართლის კოდექსებში ყურადღება გამახვილებულია მოცემული სახსრების ან ქონების შეძენის დანაშაულებრიობის გაცნობიერებაზე⁵⁸, სხვა ქვეყნების (შვეიცარია, ჩინეთი, სომხეთი და სხვ.) სისხლის სამართლის კოდექსებში კი – მიზანზე, რომელიც მოცემულ ნიშანს წარმოაჩენს, როგორც ძირითადს, არაკანონიერი შემოსავლების ლეგალიზაციის შემადგენლობაში. მაგალითად, ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსში საუბარია ქმედების დანაშაულებრივი საქმიანობის

⁵⁷<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf?fbclid=IwAR3BhGOrHDtICreeXMUNs3w0kpeLoe49pCEIUfMYRW4Kz5sEppZYtsPwdKk>.

⁵⁸ Смагина А. В. (2006) Легализация преступных доходов: сравнительный анализ уголовного законодательства России и зарубежных стран. М. «СПАРК». С 113-144.

წყარობისა და ხასიათის დაფარვის მიზნით ჩადენაზე. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც სჩადის ქმედებას, გამიზნულს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ქონებრივი ფასეულობების წარმომავლობის, ადგილმდებარეობის დადგენას და კონფისკაციას.⁵⁹

ამგვარად, ფულადი სახსრების ან ქონების არაკანონიერი წარმომავლობის უეჭველი ცოდნა, ისევე, როგორც გათეთრების მიზანი – შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა, პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს. პირდაპირ განზრახვაზე დაფუძნებული მოდელი მეცნიერთა უმეტესობისთვის დავის საგანი არ არის.⁶⁰

კ. როტს და ჰ. შმიდტს მიაჩნიათ, რომ ლეგალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ლეგალიზაციისას პირდაპირი განზრახვა იმას ნიშნავს, რომ პირი აცნობიერებს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობას, წინასწარ განჭვრეტს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს მისი დადგომა ან აცნობიერებს ამგვარი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. თუ დამნაშავე „ჭუჭყიან“ ფულს, მაგალითად, უძრავ ქონებაში აბანდებს, ან ამ ფულით უცხოურ ვალუტას ყიდულობს და გარკვეული დროის განმავლობაში აყოვნებს მის გაყიდვას, რათა თავიდან აიცილოს ინფლაცია, ან კაპიტალის სარფიანად დაბანდებს ელოდება, მაშინ მის ქმედებებში არის ლეგალიზაციის ნიშნები⁶¹.

პირდაპირი განზრახვის მოდელი გავრცელებულია არა მარტო სამართლის რომანულ-გერმანულ სისტემაში, არამედ საერთო სამართლის სისტემაშიც. ასე, მაგალითად, სუბიექტური მხარის ძირითად ნიშნებს შეიცავს აშშ-ის 1986 წლის კანონი ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ. ამ ნორმატიული აქტის შესაბამისად, საქმე გვაქვს ფულის „გათეთრებასთან“, თუ პირმა იცის, რომ ასეთ ოპერაციაში გამოყენებული სახსრები უკანონო შემოსავლის წყაროა, და თუ ეს პირი ახორციელებს ფინანსურ საქმიანობას, ან განზრახ

⁵⁹Зубков В. А., Осипов С. К. (2007) Российская Федерация в международной системе противодействия легализации (отмыванию) преступных доходов и финансированию терроризма. М. «Юрист» С 28-35.

⁶⁰ Stessens G. (2000) Money laundering: a new international law enforcement model. Cambridge University P 82-108.

⁶¹ Rott K., Schmitt H. (2009) Geldwäsche: Gefährdungsanalyse und Überwachungsmaßnahmen. Deutscher Sparkassenverlag p 33-37.

უწყობს ხელს ასეთ უკანონო საქმიანობას; იცის, რომ ფინანსური ოპერაცია შემოსავლის წყაროს ნამდვილი ბუნების, ადგილმდებარეობის, ფლობისა და განკარგვის დაფარვისა და მითვისებისთვის ხორციელდება; იცის, რომ ოპერაციის განხორციელება აუცილებელია იმ კანონის მოთხოვნათა შესრულებისთვის თავის ასარიდებლად, რომელიც ოპერაციის შესახებ ანგარიშის წარდგენას ეხება⁶² აშშ-ის კანონმდებლობა პირდაპირი განზრახვის მოდელისაკენ იხრება. ასე, მაგალითად, გადაზიდვა, გადარიცხვა, საგადასახადო დოკუმენტების გაგზავნა ასევე ფულის „გათეთრებად“ ითვლება. ზემოხსენებულ კანონში აღნიშნულია, რომ გადაზიდვა დანაშაულია, თუ პირს მართლსაწინააღმდეგოდ გადააქვს საკრედიტო-ფულადი დოკუმენტი ერთი ქვეყნიდან მეორეში, ან: განზრახ უწყობს ხელს ასეთ უკანონო საქმიანობას; იცის, რომ ასეთი დოკუმენტი უზრუნველყოფს უკანონო შემოსავლის მიღებას, იცის, რომ ასეთი გადაზიდვა აუცილებელია შემოსავლის წყაროს ნამდვილი ბუნების, ადგილმდებარეობის, ფლობისა და განკარგვის დაფარვისა და მითვისებისთვის, იცის, რომ გადაზიდვა იმ კანონის მოთხოვნათა შესრულებისთვის თავის ასარიდებლად ხორციელდება, რომელიც ოპერაციის შესახებ ანგარიშის წარდგენას ეხება⁶³. სტრასბურგის კონვენციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ დამნაშავეს უნდა ეგულისხმება, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალია. ამგვარად, კონვენციაში ქონების წარმოშობის სამართლებრივი შეფასება ანალოგიურადაა გაგებული, რამდენადაც იგი ქონების წარმოშობის დანაშაულებრივ ხასიათზე მიუთითებს⁶⁴.

⁶² Straub J. (2002) The Prevention of E-money Laundering: Tracking the Elusive Audit Trail – Suffolk Transnational Law Review, Vol. 25, afl. 3 p 515-534.

⁶³ Murray K. (2010) Dismantling organised crime groups through enforcement of the POCA money laundering offences – Journal of Money Laundering Control, Vol. 13, No. 1. P 181-185

⁶⁴ Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыыванием преступных доходов: Сборник документов (сост. В. С. Овчинский). М. «ИНФРА-М», 2004. p 324-344

თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საერთაშორისო მაშტაბით.

3.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართულის საერთაშორისო პოლიტიკა, დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვიან ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიც არიან გაერო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირი და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია.⁶⁵ ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის მძლავრი და მკაცრი ინსტრუმენტია 1989 წელს „დიდი შვიდეულის“ მიერ დაფუძნებული „ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფინანსური ზომების შემმუშავებელი ჯგუფი“ („Financial Action Task Force“ (FATF)). იგი არა მარტო აქტიურად იძლევა რეკომენდაციებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საკითხებზე და რეგულარულად ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობები და პოლიტიკა ამ რეკომენდაციებს (რომელთა შედეგების თაობაზე რეგულარულად ამზადებს ანგარიშებს), არამედ აქტიურად აბამს თანამშრომლობაში იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მის მუშაობაში. FATF-ის ასეთ საქმიანობაში მძლავრი საშუალებაა იმ ქვეყნების „შავი სიის“ წარმოება, რომლებიც მასთან არ თანამშრომლობენ „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.⁶⁶

⁶⁵ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashvili%20G.pdf>

⁶⁶ FATF. 1996. VII Annual Report (1995-1996), 28 June. P 14-15

ევროპაში ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა დანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ნორვეგიაში შესაბამისი კანონები იქნა მიღებული. ფულის გათეთრების შესახებ ევროპული ნორმები ამერიკულისგან განზოგადების მნიშვნელოვნად მაღალი ხარისხით გამოირჩევა.⁶⁷ აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის ვადა (ან ზომა) აშშ-ის კანონმდებლობასთან შედარებით გონივრულ მაქსიმუმამდეა შემცირებული და არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას; ფართოდ გამოიყენება ჯარიმებიც. გამონაკლისია ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი, რომელშიც, ისევე, როგორც აშშ-ის ფედერალურ კანონმდებლობაში, გათვალისწინებულია 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, დიდ ბრიტანეთში კი 1986 წელს ფულის გათეთრებისათვის სასჯელად დადგენილ იქნა 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.⁶⁸

ევროპაში ფულის გათეთრების შესახებ ნორმების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციამ (სტრასბურგის კონვენცია). ევროპის ბევრმა სახელმწიფომ განახორციელა ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია, თუმცა არა ეროვნული სამართლებრივი შეგნების ბუნებრივი განვითარების გათვალისწინებით.⁶⁹ ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ფულის გათეთრების („lavado de dinero“) შესახებ ნორმისა, რომელიც ნაკლებად თავსდება ეროვნული კანონმდებლობის კონცეფციაში, არის ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლი (შეად. 301-ე და იმავე კოდექსის 298-ე, 240-ე-242-ე მუხლები).⁷⁰

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე პარაგრაფი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „ფულის გათეთრებისათვის; უკანონოდ მოპოვებული

⁶⁷ Ryder N. (2012) Title Money laundering – an endless cycle: a comparative analysis of the anti-money laundering policies in the United States of America, the United Kingdom, Australia and Canada. London; New York: Routledge. p-33

⁶⁸ Norwegian Ministry of Justice Legislation Department (2006). The General Civil Penal Code.

⁶⁹ Mitsilegas V. (1971) Money laundering counter-measures in the European Union: a new paradigm of security governance versus fundamental legal principle. The Hague: New York: Kluwer Law International. p-65.

⁷⁰ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

ფასეულობების დამალვისათვის“ (Geldwäsche; Verschleierung unrechtmäßig erlangter Vermögenswerte).⁷¹ ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დამნაშავეობის გამოვლინების სხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1993 წლის 15 ივლისის კანონით იქნა შეტანილი.⁷² გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ადმინისტრაციული მექანიზმი მძიმე დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის შესახებ 1993 წლის 25 ოქტომბრის კანონს ეფუძნება.⁷³

261-ე პარაგრაფის 1-ლ აბზაცში დადგენილია სასჯელი 3 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით: 1) საგნების დამალვისათვის, 2) საგნების წარმომავლობის შენიღბვისათვის („verschleiern“), 3) საგნების წარმომავლობის დადგენისთვის, მათი აღმოჩენისთვის, გამოვლენისთვის, კონფისკაციისთვის ან დაყადაღებისთვის დაბრკოლებების შექმნისათვის. 261-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის შესაბამისად, ასევე ისჯება ის, ვინც მითითებულ საგნებს თავისთვის ან მესამე პირისთვის იძენს, ინახავს ან იყენებს, თუ მან ქონების შექმნის მომენტში იცოდა მისი წარმომავლობის შესახებ. დამამძიმებელ გარემოებათა (დანაშაულის ჩადენა ფულის არაერთჯერადი გათეთრების მიზნით შექმნილი ბანდის წევრის მიერ საქმიანობის (ხელობის) სახით, სხვა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევები) არსებობისას 261-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა ისჯება 6 თვიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.⁷⁴

ევროპაში ერთ-ერთი უახლესი ნორმა ფულის გათეთრების შესახებ შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1996 წლის 13 მაისის №96-392 კანონით, სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდეგ. საფრანგეთში ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირველად 1987 წლის 31 დეკემბრის კანონით დადგინდა. ეს ნორმა (შემდგომი ცვლილებებით) სისხლის სამართლის

⁷¹ Жалинский А. Э. (2006) Современное немецкое уголовное право. М. «ТК Велби», «Проспект».

⁷² <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

⁷³ Уголовное уложение (уголовный кодекс) ФРГ (2010). М. «Проспект».

⁷⁴ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>

კოდექსის 222.38 მუხლშია მოცემული. 1996 წლის 13 მაისის კანონს არ გაუუქმებია ეს ნორმა – ის დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებს (იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრებისას უფრო მკაცრი საპროცესო წესები გამოიყენება). სპეციალური ნორმა მეძავეების ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლების გათეთრების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 225.6 მუხლითაა გათვალისწინებული.⁷⁵

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 324.1 მუხლი „გათეთრებას“ (le blanchiment) განსაზღვრავს, როგორც „ქონების ან შემოსავლების წარმოშობის ცრუ გამართლების (justification) ნებისმიერი ხერხით ხელის შეწყობას (უფრო ზუსტად, გაადვილებას: faciliter) დანაშაულის ან გადაცდომის მონაწილისათვის, რომელიც აქედან პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებელს იღებს“. „გათეთრებად“ განიხილება ასევე დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად, პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მიღებული შემოსავლის განთავსების, დამალვის ან შენიღბვის ოპერაციის ხელშეწყობა. ამდენად, პირველ შემთხვევაში ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავე აცნობიერებდა, რომ ხელს უწყობდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრებაში.⁷⁶

მეორე შემთხვევაში ეს საჭირო არ არის, მაგრამ აუცილებელია იმ ფაქტის დამტკიცება, რომ პირი აცნობიერებდა, რომ ესა თუ ის ფასეულობა დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავალი იყო, ამასთანავე, ხელს უწყობდა ასეთი შემოსავლის განთავსების, დამალვის ან შენიღბვის ოპერაციას. „გათეთრება“ ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 2,5 მილიონ ფრანკამდე ჯარიმით,⁷⁷ ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას (მუხლი 324.2 – როცა მას სჩადიან სისტემატურად ან იმ შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებიც

⁷⁵ Уголовный кодекс Франции (перевод с французского Н. Е. Крыловой). 2002. СПб. «Юридический центр Пресс».

⁷⁶ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashashvili%20G.pdf>.

⁷⁷ Jeandidier W. (2000) Droit penal des affaires. Paris

პირს აქვს პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ან ის ჩადენილია ორგანიზებული ბანდის მიერ) – 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 5 მილიონ ფრანკამდე ჯარიმით. ჯარიმის ოდენობა შეიძლება სასამართლომ გათეთრებული ფასეულობების ღირებულების ნახევრამდე გაზარდოს.⁷⁸

ფულის გათეთრების შესახებ ტიპური ევროპული ნორმის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე მუხლი. დანაშაულის საგანია ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, ამ სიტყვის ფართო გაგებით (ქონებრივი უფლებების ჩათვლით), რომლებიც მიღებულია სხვა პირის მიერ ანგარებითი დანაშაულის ჩადენის შედეგად, კერძოდ, იმ დანაშაულთა ჩადენის შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან, კონტრაბანდასთან, ყალბი ფულის დამზადებასთან, ყაჩაღობასთან, ან დიდი ოდენობის ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომლებიც მიღებულია იარაღის, საბრძოლო მასალების, ხლეჩადი ან ფეთქებადი ნივთიერებების უკანონო ბრუნვიდან.⁷⁹

ლეგალიზაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა გარკვეულად ემსგავსება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლის კონსტრუქციას. რუსეთში ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია დასავლეთის აშკარა (მათ შორის, მიზანმიმართული) გავლენის პირობებში მოხდა. 1996 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მინისტრთა კომიტეტს რუსეთის ფედერაციის ევროსაბჭოს წევრად მიწვევა იმის გათვალისწინებითაც ურჩია, რომ რუსეთი სტრასბურგის კონვენციის ხელმოწერას და რატიფიცირებას აპირებდა. FATF-მა რუსეთის მიმართ მორალური სანქცია გამოიყენა, კერძოდ, იგი „არამოთანამშრომლედ“ (non cooperatif) ქვეყნების სიაში შეიყვანა.⁸⁰ ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში რუსეთის აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ეკონომიკაში მისი ნორმალური ინტეგრაციის აუცილებელი პირობა გახდა ვაჭრობის

⁷⁸ Pradel J., Danti-Juan M. (2001) Manuel de droit penal special. Paris.

⁷⁹ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

⁸⁰ Яни П. С. (1998) Уголовная ответственность за легализацию имущества, приобретенного незаконным путем – Право и <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>. экономика, №1. გვ 78

მსოფლიო ორგანიზაციასა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში განწევრებასთან დაკავშირებით. მართალია, რუსეთში ვერ შეიქმნა პირობები, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ეფექტიანს გახდიდა, მაგრამ მიღებულ იქნა რამდენიმე კანონი ფულის გათეთრების წინააღმდეგ.⁸¹

1997 წლის 1 იანვარს ამოქმედდა რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 174-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას „არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაციისათვის (გათეთრებისათვის)“. 2001 წლის 28 მაისის ფედერალური კანონით რუსეთმა სტრასბურგის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.

2001 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ფედერალურ კანონს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) საწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ“ და ფედერალურ კანონს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების) საწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ“ ფედერალური კანონის მიღებასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.⁸²

თავდაპირველ რედაქციაში სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლის დისპოზიცია აშშ-ის კანონმდებლობის მნიშვნელოვნად გამარტივებული და მექანიკურად შემოკლებული თარგმანი იყო. დანაშაულის საგანი განისაზღვრებოდა, როგორც „განზრახ არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრები და სხვა ქონება“. ამასთანავე, გათვალისწინებული არ იყო, რომ აშშ-ის კანონი (ისევე, როგორც საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების კანონები)

⁸¹ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

⁸² <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

„არაკანონიერი საქმიანობის“ განმარტებისას მიუთითებს არა ნებისმიერ „არაკანონიერ ქმედებაზე“, არამედ მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულებზე.⁸³

უკანონო შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების თაობაზე შექმნილი დოკუმენტებიდან ფუძემდებლური ხასიათისაა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის გაეროს კონვენცია, რომელიც ვენაში იქნა მიღებული (ვენის კონვენცია). ვენის კონვენციამ დაადგინა დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა ორგანიზებისადმი გაეროს გლობალური მიდგომის პრინციპები, განსაზღვრა „უკანონო შემოსავლების გათეთრების“ ცნება.⁸⁴

ვენის კონვენციის თანახმად, „უკანონო შემოსავლების გათეთრებაში“ იგულისხმება საკუთრებისა და შემოსავლების კონვერსია ან გადაცემა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების შედეგად მიღებული საკუთრებისა და შემოსავლების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროების, განკარგვის ხერხების დამალვა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ რა უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლებად. ვენის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, უკანონო შემოსავლები – ეს არის ნებისმიერი საკუთრება, რომელიც მიღებულია ან შექმნილია პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დანაშაულის ჩადენის შედეგად, ე. ი. ნებისმიერი აქტივი, მატერიალური თუ არამატერიალური, უძრავი თუ მოძრავი, აგრეთვე ასეთ აქტივებზე უფლების ან მათში მონაწილეობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები თუ აქტები.

85

„გაყინვაში“ ან „დაყადაღებაში“ იგულისხმება საკუთრების გადაცემის, კონვერსიის, განთავსების ან გადაადგილების ღრობითი აკრძალვა ან საკუთრებაზე ღრობით ყადაღის დადება ან მისი კონტროლზე აყვანა სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ

⁸³ Черникова Л. И. (2012) Роль банковского сектора в борьбе с отмыванием денег: отечественный и зарубежный опыт – Национальные интересы: приоритеты и безопасность, №18. с 46–54

⁸⁴ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>.

⁸⁵ An overview of the UN conventions and the international standards concerning anti-money laundering legislation. Anti-money laundering unit/ Global programme against money laundering (2004). Vienna, Austria. p 7-12

გამოტანილი დადგენილების საფუძველზე. „კონფისკაცია“ ნიშნავს ამოღებას, ე. ი. საკუთრების ჩამორთმევას სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს დადგენილებით.

ვენის კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა გამოვლინდეს და „გაიყინოს“ ან დაყადაღდეს შემოსავლები, საკუთრება, სახსრები ან ნებისმიერი სხვა საგანი, რომლებიც დაკავშირებულია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი დანაშაულების ჩადენასთან. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლები გადაქცეულია ან გარდაქმნილია სხვა საკუთრებად, მითითებული ზომები მიიღება ამ საკუთრების და არა შემოსავლების მიმართ. თუ შემოსავლები მიერთებულია კანონიერი წყაროებიდან მიღებულ საკუთრებასთან, ასეთი საკუთრება, ნებისმიერი იმ უფლებამოსილებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც შეეხება დაყადაღებას ან „გაყინვას“, ექვემდებარება კონფისკაციას იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება ამ მიერთებული შემოსავლების ღირებულებას.⁸⁶

მოყვანილი დებულებებიდან ცხადია, რომ ვენის კონვენციამ განსაზღვრა საბაზო ცნებები უკანონო შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა სისტემის ორგანიზებისათვის, აგრეთვე ის მოქმედებები, რომლებიც საფუძვლად უდევს გათეთრებასთან ბრძოლას (დაყადაღება, კონფისკაცია). აღსანიშნავია, რომ კონვენცია მიუთითებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრებაზე, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სტანდარტები შეიძლება სხვა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან საბრძოლველად იქნეს გამოყენებული.⁸⁷

ვენის კონვენციამ დაადგინა სხვადასხვა ნორმა, რომლებსაც შეიძლება დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებასთან საერთაშორისო ბრძოლის ორგანიზების ნორმა-პრინციპები

⁸⁶ An overview of the UN conventions and the international standards concerning anti-money laundering legislation. Anti-money laundering unit/ Global programme against money laundering (2004). Vienna, Austria p 8-12

⁸⁷ An overview of the UN conventions and the international standards concerning anti-money laundering legislation. Anti-money laundering unit/ Global programme against money laundering (2004). Vienna, Austria p 7-12

ენოდოს. პირველად საერთაშორისო სამართალში კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნისთვის სავალდებულო დებულებების სახით განისაზღვრა ისეთი ცნებები, როგორებიცაა „დანაშაულებრივი შემოსავლები“, მათი „გაყინვა“ და „ამოღება“, აგრეთვე პრინციპი, რომ ასეთი შემოსავლების ამოღება აუცილებელია, მაშინაც კი, თუ ისინი გადაქცეულია სხვა საკუთრებად ან შერეულია ლეგალურ აქტივებთან.

საერთაშორისო საჯარო სამართლის თეორიაში დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებები არის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა და ამავდროულად განიხილება, როგორც მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრების დაყადაღება და ამოღება. ამოღებას ექვემდებარება არა მარტო გათეთრების საგნად ქცეული სახსრები, არამედ ნებისმიერი სხვა ფასეულობა, რომლის დანაშაულებრივი წარმომავლობა დამტკიცებულია.

დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების შემადგენლობის სპეციფიკა ისეთია, რომ მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია იქნება მათი გათეთრება (იმ პირობით, რომ გათეთრებული ქონების ოდენობა საკმარისია დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის თვალსაზრისით). ვინაიდან დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ გატანა, მათ შორის, უნაღლო ფორმით, შესაძლებელია მხოლოდ მათთან დაკავშირებული ამა თუ იმ ფინანსური ოპერაციის განხორციელების გზით, ნებისმიერი აქტივი, რომელიც ექვემდებარება ამოღებას განსახილველი საერთაშორისო წესების შესაბამისად, გათეთრების საგანი ხდება.⁸⁸

დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა სისტემის განვითარების გზაზე ახალი ნაბიჯი იყო 1993 წლის ნოემბერში გაეროს მიერ მიღებული ტიპური კანონი ნარკოტიკებიდან მიღებული ფულის გათეთრების შესახებ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას ეფუძნება და შეიცავს რეკომენდაციებს ფულის გათეთრების თავიდან აცილების, მსგავსი ქმედებების გამოვლენის და შესაბამისი

⁸⁸ Hart J. (2010) Criminal infiltration of financial institutions: a penetration test case study – Journal of Money Laundering Control, Vol. 13, №1, 2. p 55-56

სანქციების დადგენის შესახებ. მასში მოცემულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ დანაშაულთა პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან:

1) პირები, რომლებიც ახდენენ იმ სახსრების ან საკუთრების კონვერტირებას ან გადაცემას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღებულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების უკანონო ბრუნვიდან, ამ საკუთრების ან სახსრების უკანონო წყაროს დაფარვის ან დამალვის მიზნით, ან ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის დახმარების განწევის მიზნით, რათა მან შეძლოს თავისი ქმედებებისათვის პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება; 2) პირები, რომლებიც ხელს უწყობენ იმ სახსრების, საკუთრების ან მათთან დაკავშირებული უფლებების ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების ხერხის ან ნამდვილ უფლებათა დაფარვას ან დამალვას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღებულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების უკანონო ბრუნვიდან ყველაზე ხშირად დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები იყენებენ. ამასთანავე, დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია მყარი შემოსავლის მიღება, რომელიც გაამართლებს დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. პრაქტიკაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების შემოსავლები, რომლებიც, მაგალითად, საქმიანობას ახორციელებენ ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვის, ადამიანებით ვაჭრობის და მეძავეების ექსპლუატაციის სფეროში, მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მოგების საშუალო ნორმა ლეგალურ ბიზნესში. ასეთი შემოსავლები არა მარტო ფარავს დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიმდინარე ხარჯებს, არამედ საშუალებას აძლევს მათ, გაათავოთონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, აგრეთვე დაამყარონ კონტროლი ეკონომიკის ლეგალურ სექტორზე⁸⁹.

⁸⁹ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>

5.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (2000 წლის 15 ნოემბერი) და „კორუფციის წინააღმდეგ“ (2003 წლის 31 ოქტომბერი) გაეროს კონვენციების შესაბამისად.

აღნიშნულ კონვენციებში, აღწერილია დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების შემადგენლობების მოდელები, რომელთა კრიმინალიზაციაც სავალდებულოა ყველა მიერთებული, მონაწილე ქვეყნისათვის. მათში გაგრძელებულია FATF-ის მიერ შემუშავებული პოზიცია. კონვენციის მიხედვით:

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გათვართობულია: დაშვებულია როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის, ისე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია;

2. დანაშაულის და „ფულის გათეთრების“ შემადგენლობები გამიჯნული არ არის, რაც უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაზე (მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობაზე, რომელშიც ეს საკითხი ბოლომდე არ არის გააზრებული);

3. გამოყოფილია ზოგიერთი პრედიკატული დანაშაული, მაგრამ პრედიკატულ დანაშაულთა წრის განსაზღვრის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.⁹⁰

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრისას საზღვარგარეთის ქვეყნებში ყურადღება ექცევა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფულის გათეთრების ნაირსახეობაა თუ ეკონომიკური დანაშაული? მოიცავს თუ არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პრედიკატული დანაშაულის დათვარვას და მასში მონაწილეობას, აგრეთვე დანაშაულის ამსრულებლის მოქმედებებს? ექვემდებარებიან თუ არა პასუხისმგებლობას „ფულის გათეთრებისათვის“ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ პრედიკატული დანაშაულის ჩადენაში? თუ მათ პასუხი მხოლოდ პრედიკატული დანაშაულის ჩადენისათვის (ან მის ჩადენაში თანამონაწილეობისათვის, მაგალითად, წინასწარ შეპირებული ფულის

⁹⁰ United Nations Convention against Transnational Organized Crime (2000). New York, 15 November, P 90-91.

გათეთრებისას) უნდა აგონ? როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობების ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნული საკითხები არაერთგვაროვნად წყდება. ზოგიერთ ქვეყანაში პრედიკატული დანაშაულის და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის“ უმართლობები გამიჯნული არ არის. მაგალითად, აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, ფულის გათეთრება მოიცავს არა მარტო პრედიკატული დანაშაულის დაფარვას, არამედ მასში მონაწილეობასაც, აგრეთვე დანაშაულის ამსრულებლის მოქმედებებს. მეტად ბუნდოვანია რუსი კანონმდებლის პოზიციაც. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, არსებობს ორი შემადგენლობა: 1) დანაშაულის შედეგად შექნილი ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია; 2) სხვა პირთა დანაშაულის შედეგად შექნილი ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობები, რომლებშიც გაურკვეველია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობის არსი, ეკლექტიკურია. დანაშაულის შედეგად შექნილი ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია ხშირად პრედიკატული ქმედების შემადგენლობაა. ამიტომ მის შემდეგ განხორციელებული ქმედება არ შეიძლება იყოს ცალკე აღებული შემადგენლობა. მაგალითად, ნაქურდალი ნივთის გასაღება არ შეიძლება იყოს დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა, რადგან ქურდობის დამთავრების მომენტი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. პირი ნაქურდალ ნივთს სახლში წაიღებს თუ გაყიდის, ამას ქურდობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ სხვა პირთა დანაშაულის შედეგად შექნილი ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია სულ სხვა სახის დანაშაულია. აქ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მოყვანილ შემთხვევაში ქურდობა ეკონომიკური დანაშაულია, ხოლო „ლეგალიზაცია“ – სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. არსებითი განსხვავებაა მიზნებშიც. ეკონომიკური დანაშაულის განხორციელებისას პირი მიზნად ისახავს სხვისი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო გზით, ხოლო „ლეგალიზაციის“ დროს პირს ამოძრავებს დანაშაულის დაფარვის მიზანი. მათი აღრევა ართულებს თანამონაწილეობის საკითხის გადაწყვეტას, რადგან თანამონაწილეთა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთი მიზნის მიღწევას ემყარება, რაც არ გვაქვს განსახილველ შემთხვევაში. ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელშიც „გათეთრებად“ განიხილება ასევე დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად, პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მიღებული შემოსავლის განთავსების, დამალვის ან შენიღბვის ოპერაციის ხელშეწყობა. ამდენად, პირველ შემთხვევაში ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავე აცნობიერებდა, რომ ხელს უწყობდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრებაში. მეორე შემთხვევაში ეს საჭირო არ არის, მაგრამ აუცილებელია იმ ფაქტის დამტკიცება, რომ პირი აცნობიერებდა, რომ ესა თუ ის ფასეულობა დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავალი იყო, ამასთანავე, ხელს უწყობდა ასეთი შემოსავლის განთავსების, დამალვის ან შენიღბვის ოპერაციას.⁹¹

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს, ლეგალიზაციის შემადგენლობა ცალკე გამოყოს. ზემოთ მოყვანილი ქვეყნების კანონმდებლობებისაგან განსხვავებით, შუალედური პოზიცია უკავია გერმანიის კანონმდებლობას. გერმანიის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე პარაგრაფის მე-9 ნაწილის მე-2 პუნქტში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ პრედიკატული დანაშაულის თანამონაწილე ფულის გათეთრებისათვის არ ისჯება. მაგრამ ეს პოზიცია არათანამიმდევრულია, რადგან გერმანიის კანონმდებლობა უშვებს პრედიკატული დანაშაულის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას, რომლებიც თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს ათეთრებენ. უფრო კატეგორიული პოზიცია უკავია ავსტრიის კანონმდებლობას, რომლითაც პასუხისმგებლობა მხოლოდ სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგად მიღებული ფასეულობების გათეთრებისათვის დგება. ანალოგიური კონსტრუქციაა მოცემული შვეიცარიის კანონმდებლობაში: „ლეგალიზაციისათვის“ ისჯება ის, ვინც ჩაიდენს ქმედებას, რომელსაც შეუძლია დაბრკოლება შეუქმნას იმ ქონებრივი ფასეულობების წარმომავლობის დადგენას, გამოვლენას ან ამოღებას, რომლებიც, როგორც მან იცის ან უნდა ვარაუდობდეს, დანაშაულის შედეგადაა

⁹¹ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000828/Dis.Shashiashvili%20G.pdf>

მიღებული. ასეთივე პრინციპულია პოლონეთის კანონმდებლობის პოზიცია, რომელმაც უარი თქვა „გათეთრების“ იმ პირისთვის ბრალად შერაცხვაზე, რომელიც პრედიკატული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა.

ფულის გათეთრების აღკვეთაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ევროპის საბჭოს, რომელიც 1949 წელს ქ. ლონდონში შეიქმნა დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად. 1949-1970 წწ. ორგანიზაციაში განწვერიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ევროპის საბჭო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩებოდა. 1989 წელს მან შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეეწყო ამ ორგანიზაციის არანევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას. პოსტ-კომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობაზე იქონია გავლენა. ქ. ვენაში, 1993 წელს ჩატარდა წევრი სახელმწიფოების სამიტი, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ორგანიზაციის გაფართოების პოლიტიკა: მასში განწვერიანდა სოციალისტური ბანაკის მრავალი სახელმწიფო. დღეისთვის დამფუძნებელი 10 სახელმწიფოს გარდა, საბჭოს წევრი კიდევ 36 სახელმწიფოა, მათ შორის საქართველო. ევროპის საბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, განათლება და სხვ.⁹²

განსაკუთრებით საინტერესოა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი, რომელთა საქმიანობაშიც მონაწილეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა

⁹² <https://www.coe.int/en/web/portal/home>

შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი-MONEYVAL მოქმედებს ევროპის საბჭოს მანდატით. იგი 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინიციატივით შეიქმნა. კომიტეტის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება. თავის საშემფასებლო საქმიანობაში MONEYVAL-ის კომიტეტი FATF-ის რეკომენდაციებსა და პრაქტიკას ეყრდნობა. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის წევრია. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციას.⁹³

1988 წლის დეკემბერში “დიდი შვიდეულის” ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელობამ ბაზელში მიიღო დეკლარაცია, ე.წ. ბაზელის დეკლარაცია, რომელშიც აისახა ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ საბანკო სისტემები ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად.⁹⁴ ეფექტურობისათვის რეკომენდირებულია ბანკთან ურთიერთობის დამყარების მსურველი პირის იდენტიფიცირება და ფინანსური გარიგებების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დაცვის აუცილებლობა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია “დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია, მიღებული 1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში, რომელიც აახლოვებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივ შეფასებას მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობებში და

⁹³ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის ვებ გვერდი <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group>

⁹⁴ The Basel Committee On Banking Supervision In Basel, Switzerland, A Set Of Minimum Capital Requirements For Banks, 1988, P.1-2

შემუშავებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებსა და პროცედურებს.⁹⁵ 2000 წელს, პალერმოში, გაეროს სამიტზე მიიღეს კონვენცია “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”⁹⁶, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია საკუთრების კონფისკაცია, როდესაც ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. აგრეთვე, საბანკო საიდუმლოების უგულებელყოფის აუცილებლობა, თუ ფინანსური ოპერაცია დაკავშირებულია არალეგალური კაპიტალის ლეგალიზებასთან. გაეროს კონვენცია, რომელიც მიღებულია 2003 წელს ამყარებს მჭიდრო სამართლებრივ კავშირს კორუფციასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შორის.⁹⁷ “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია შემუშავებულია 2005 წლის 16 მაისს. საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა 2013 წელს. კონვენციის მონაწილეა 38 სუბიექტი (მათ შორის ევროსაბჭოს წევრი 37 სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია ევროკავშირის სახით), რომელთაგანაც, დღევანდელი მდგომარეობით 25-ს აქვს რატიფიცირებული⁹⁸. ვარშავის კონვენცია ეფუძნება თულის გათეთრების მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას “დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წლის 9 დეკემბერს მიღებულ საერთაშორისო კონვენციას “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” და მისი მიზანია საზოგადოების დაცვისაკენ მიმართული ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება. კონვენცია ავალდებულებს მხარეებს მიიღონ

⁹⁵ Recommendation No. R (91) 12 Of The Committee Of Ministers To Member States Concerning The Setting Up And Functioning Of Arbitral Tribunals Under Article 42, Paragraph 2, Of The Convention Of 8 November 1990 On Laundering, Search, Seizure And Confiscation Of The Proceeds From Crime

⁹⁶ United Nations Office On Drugs And Crime, United Nations Convention Against Transnational Organized Crime And The Protocols Thereto, 2017

⁹⁷ United Nations Office On Drugs And Crime, United Nations Convention Against Corruption, New York, 2004, P.1

⁹⁸ 9 კვლევითი დეპარტამენტი, კანონმდებლობითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, 2015, გვ.1-4

ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს “უზრუნველყონ უკანონო წარმოშობის ქონების ან ამ დანაშაულით მიღებული შემოსავალის მოძიების, გამოვლენის, ამოცნობის, დაყადაღების, ამოღების და კონფისკაციის შესაძლებლობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება ან გამოყოფილია ნებისმიერი გზით გამოსაყენებლად, არალეგალური აქტივობების დასაფინანსებლად და უზრუნველყოს ამ მიზნით თანამშრომლობა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში”, “აუცილებლობის შემთხვევაში კონფისკაცია გაუკეთონ იმ საშუალებებს და შემოსავალს ან ქონებას, რომელთა ღირებულებაც შეესაბამება ამ შემოსავალს და გათეთრებულ ქონებას”, “სწრაფად მოახდინონ იდენტიფიცირება, გამოავლინონ, ყადაღა დაადონ ან ამოიღონ ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას”, “ფინანსური დაზვერვის სამსახურს ან, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ გარიგება დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, შეაჩეროს ან უარი ეთქვას მიმდინარე გარიგებასთან დაკავშირებულ თანხმობაზე იმისათვის, რომ მოახდინოს გარიგების ანალიზი”⁹⁹. კონვენცია ასევე ითვალისწინებს ფინანსური დაზვერვის სამსახურების ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებას ან სხვა საეჭვო გარიგების დროულად შეჩერების თაობაზე. უფლებამოსილმა სამსახურებმა, უცხო ფინანსური დაზვერვის სამსახურის მიერ მოთხოვნის საფუძველზე, უნდა შეაჩერონ თანხმობის მიცემა მიმდინარე გარიგებასთან დაკავშირებით იმ ვადით და იმ პირობის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობით გარიგებების გადავადებასთან დაკავშირებით.¹⁰⁰

თავი IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კონტროლის მექანიზმი.

⁹⁹ ვარშავის კონვენცია, თავი 5, მუხლი 47

¹⁰⁰http://press.tsu.ge/data/image_db_innova/PhD%20-%20AM%20edits.pdf?fbclid=IwAR3POuYp52yUkXM5Hmsa2to6wRde9huC-pYBj9xOMT3wbLwaHVA3v3w0AU

4.1 ახალი ტექნოლოგიების როლი ფულის გათეთრების გამოსავლენად

აღნიშნულ თავში, განვიხილოთ თანამედროვე ტექნოლოგიები. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი ტექნოლოგია დამოკიდებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა სფეროში შემუშავებულ ტექნიკაზე. ამასთანავე, ბევრი იყენებს კომპიუტერულ გრაფიკასა და მათემატიკის გამოთვლით მეთოდებს. ინფორმაციის აღსაქმელად ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიების ნარევი. ამასთანავე, მონაცემთა ბაზის გრაფიკული წარმოსახვა კრიმინალისტებს ეხმარება ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენაში. თანამედროვე ტექნოლოგიები სრულიად ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს დასახული მიზნის მისაღწევად¹⁰¹. არსებობს სხვადასხვა ტექნოლოგია, რომელიც სასარგებლოა ინფორმაციის გაანალიზებისათვის. აღნიშნული ტექნოლოგიები ხშირად კლასიფიცირდება იმ ამოცანების მიხედვით, რომელსაც კრიმინალისტი ისახავს. მაგალითად, სკრინინგის ტექნოლოგია მოიცავს როგორც ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებს, ისე კავშირის ანალიზს. მონაცემთა ბაზის სისტემების ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია გამოსადეგი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული წარმოადგენს ფულის გათეთრების ინდივიდუალური შემთხვევების გაანალიზების უმარტივეს გზას, რომელიც ეხმარება ინდივიდებს, ორგანიზაციებს შორის კავშირის დადგენაში. ზოგიერთი პროგრამული პაკეტი უზრუნველყოფს კავშირის ანალიზს, ბაზები კი პროფესიონალებთან ინტერვიუების ჩატარების საფუძველზე ან მრავალი სხვადასხვა შემთხვევის გაანალიზებით იქმნება. მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგია მრავალმხრივია ისევე, როგორც სტატისტიკური მეთოდები. ბოლო ათწლეულის მანძილზე მკვლევარებმა შეიმუშავეს მრავალი მეთოდი ავტომატური ინფორმაციის მოძიებაზე. უმეტეს შემთხვევაში, ინფორმაცია მოიცავს მრავალფეროვან დაკვირვებას, სადაც ყველა დაკვირვება წარმოადგენს ერთ ობიექტს,

¹⁰¹ IJiang, J., How to use graph technology to detect money laundering. Retrieved from Neo4j News: <https://neo4j.com/news/use-graph-technology-detect-money-laundering/>

მაგალითად, პირი, ანგარიში, ან საბანკო გადარიცხვა და შედგება მრავალი რიცხვისა თუ სიმბოლური ცვლადისგან. ანალიზი იწყება ერთი ამხსნელი ცვლადით-მაგალითად, ფულის გათეთრება. დანარჩენი ცვლადები კი წარმოადგენენ მოდელის დამოკიდებულ ცვლადებს, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა ფაქტორების ზემოქმედებას, როგორცაა ვალუტა, ბენეფიციარი, კლიენტის ტიპი და სხვა. ნაკლებად ზუსტი მოდელები უგულვებელყოფილია. შეუძლებელია ყველა შესაძლო მოდელის გაცნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ტექნოლოგია, როგორც წესი, ზღუდავს მოდელების შესაძლო რაოდენობას, რათა არჩეულ იქნას ზუსტი მოდელი. დამხმარე მოდელების განვითარება კი ინდივიდს აძლევს ხელსაწყოებს დიდი მოცულობის ინფორმაციის შესამოწმებლად და გასაანალიზებლად. კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებული მეთოდები განაპირობებენ პირველად მომხდარი შემთხვევების შენახვის შესაძლებლობას სამომავლო ანალიზისათვის¹⁰².

ფულის გათეთრების მეთოდები სწრაფად იცვლება და ამიტომ ფულის გათეთრების თვალსაზრისით ცოდნაზე დაფუძნებული სისტემების განვითარება უფრო მეტად არის საჭირო. ასევე, შესაძლოა, რომ ყველა ბანკს თუ არასაბანკო ინსტიტუტს დასჭირდეს ახალი პროგრამული პაკეტის გამოყენება. ცოდნის გაზიარების ტექნიკა ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატიული გზები. ფულის გამთეთრებლები მრავალჯერადად იყენებენ ტრანზაქციებს და სხვადასხვა ანგარიშს. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა, შეიქმნას მონაცემთა ცენტრალური ბაზა, სადაც გაზიარებული იქნება მრავალი პრობლემის გადაჭრის შემთხვევა. ინფორმაციულ აგენტებს კი შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ბანკები, ასევე სხვა ფინანსური ინსტიტუტები. ამასთანავე, აუცილებელია სხვადასხვა შემთხვევის გაანალიზება. მაგალითად, ბანკები ცალსახად უპირატესობაში არიან გარიგების და ინდივიდუალური ანგარიშების დონეზე ფულის გათეთრების გამოვლენაზე. მათ აქვთ წვდომა მომხმარებელთა პირად ინფორმაციასთან და ასევე, ანგარიშის ისტორიის შესახებ, რომელიც შეიძლება საექვო წარმომავლობის აღმოჩნდეს. ამის საპირისპიროდ, FinCEN

¹⁰² Johnson, C. Using Case-Based Reasoning to Support the Indexing and Retrieval of Incident Reports

სათანადოდ არის აღჭურვილი ბიზნესისა და ბირჟის სფეროში ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ აქვთ აგრეგირებული მონაცემები სამართალდამცავებისა და კომერციულ წყაროებიდან.¹⁰³ ფულის გათეთრების პროცესის გამოსავლენად სპეციალური ორგანოები და ანალიტიკოსები ხშირად იყენებენ სხვადასხვა საინფორმაციო პორტალებს, ცნობარებსა თუ საერთაშორისო პუბლიკაციებში რეგულარულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ინვესტიციების კვალის ძიება კი სახელიდან იწყება. სახელების კვლევა გამოამჟღავნებს, რომ კომპანიების შესახებ მონაცემებს შორის ჩნდება ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული რამდენიმე პირი. როდესაც საქმე პირებისა ან კომპანიების კვლევას ეხება, ონლაინ მონაცემთა ბაზები უამრავ შესაძლებლობას იძლევა. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ინვესტიციების წყაროს გამოძიებით დაკავებული პიროვნებები იძიებენ ინფორმაციის დიდ ნაკადს, რომლის გადასამუშავებლად თანამედროვე პროგრამებს იყენებენ, მათ შორისაა პროგრამა “12“, ე.წ. “ანალიტიკოსის წიგნაკი“, რომელიც წარმოადგენს მონიწივე საგამოძიებო ანალიტიკურ პროგრამას. აღნიშნული საშუალებას აძლევს მკვლევარს რთული, კომპლექსური ბაზებიდან მოპოვებული ინფორმაცია მარტივად დააკავშიროს ერთმანეთთან და შექმნას ე.წ. ლოგიკური სცენარები. “12”-ის გარდა ასევე არსებობს კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის NetMiner¹⁰⁴, UCInet¹⁰⁵, Pajek¹⁰⁶, სხვ, რომელიც იძლევა მონაცემების ინფორმაციად გარდაქმნის საშუალებას და კომპანიების სახელწოდებებს, მონილეთა რაოდენობას, ვინაობას, მისამართებს, დაბადების თარიღებს ისე გარდაქმნის, რომ საერთო სახელწოდებებს შორის ხილულ კავშირს ადგენს. ამგვარად, კავშირების დადგენა, რომელიც ანალიტიკოსს გაუჭირდებოდა მონაცემთა ბაზების რაოდენობის გამო, დღეს უკვე შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. კომპიუტერული პროგრამების

¹⁰³ U.S. Congress, O. O., Technologies for Detecting Money Laundering. In O. O. U.S. Congress, Technologies for Detecting Money Laundering, P. 51-71

¹⁰⁴ NetMiner, Manual, Getting Started with NetMiner, CYRAM, 2008, P.28-29

¹⁰⁵ Indian Institute of Technology Dyderabad, Global Initiative on Academic Network (GIAN), Certificate Course on SOCIAL NETWORK ANALYSIS 17th-23rd December 2016, P.2

¹⁰⁶ Batagelj V., and Mrvar A., Pajek-Program for Large Network Analysis, University of Ljubljana, 1999, P.1

შესაძლებლობები იზრდება, როდესაც მას გამოიყენებენ ანალიტიკოსთა მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზებში, ფუნქციონირებს, როგორც დამაკავშირებელი ხიდი და უზრუნველყოფს გაცვლისთვის დაცულ სამუშაო სივრცეს. კომპანიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნებში ხელმისაწვდომია საჯარო საინფორმაციო პორტალებზე, ქვეყნების მიხედვით, ის შეიძლება იყოს ფასიანი:

<http://www.globalinvestigativejournalism.org>-საიტზე დაარქივებულია მასალები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში და ოფშორულ სამოთხეებში მოქმედი კომპანიების შესახებ¹⁰⁷;

<http://ebr.org>-საიტზე მოცემულია ავსტრიის, ნიდერლანდების, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, ჯერსის, ლატვიის, დანიის, ნორვეგიის, სერბეთის, ესპანეთის, შვედეთის, უკრაინისა და დიდი ბრიტანეთის მონაცემთა ბაზები. ფასები იცვლება ქვეყნების მიხედვით¹⁰⁸;

<http://www.lexisnexis/uk/business-ვებ-გვერდი> ფასიანია და ითხოვს ხელმოწერას. ის სთავაზობს ხელმისაწვდომობას მედიაში გამოქვეყნებულ მასალებთან, კომპანიების რეგისტრებთან მრავალ ქვეყანაში, სასამართლო საქმეებთან, ფინანსურ ბაზრებთან და მრავალ სხვა სახის ინფორმაციასთან¹⁰⁹;

<http://www.dialog.com>-ვებ გვერდი იძლევა წვდომას ასობით გაერთიანებულ მონაცემთა ბაზასთან და საძიებო სისტემასთან¹¹⁰. ცალკეული ქვეყნის მიხედვით, ინფორმაციის მოძიება შეიძლება საჯარო რეესტრისა და საშემოსავლო სამსახურის საინფორმაციო პორტალებზე. მაგალითად, ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისია უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზას ავსტრალიაში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ.

<http://www.asic.gov.au>¹¹¹

¹⁰⁷ Global Investigative Journalism Network, website: <https://www.gijn.org>

¹⁰⁸ European Business Register, website: <http://www.ebr.org>

¹⁰⁹ RELX Group, LexisNexis, website: <http://www.lexisnexis.co.uk/en-uk/home.page>

¹¹⁰ ProQuest Research Database, website: <http://www.proquest.com>

¹¹¹ Austrian Securities and Investment Commission, website: <http://www.asic.gov.au>

აზერბაიჯანში კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება რთულია, განსაკუთრებით კომერციული ორგანიზაციების მელობელების შესახებ. ინფორმაცია მმართველების შესახებ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. სახელმწიფო სტრუქტურები აზერბაიჯანში მუდმივად უარს ამბობენ კომერციული ჰოლდინგების აქციონერების და მმართველი საბჭოების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, ვინაიდან მათთვის აქციონერთა სახელები კომერციული საიდუმლოა და ნებისმიერი ინფორმაცია, დაკავშირებული ასეთ კომპანიებთან კონფიდენციალურია. ინფორმაცია აქციონერების შესახებ ეროვნულ სადეპოზიტო ცენტრშია განთავსებული. “ეროვნული სადეპოზიტო ცენტრი” ბანკის როლს თამაშობს და ინფორმაცია მოწილეთა შესახებ საბანკო საიდუმლოს წარმოადგენს¹¹². ამერიკის შეერთებულ შტატებს მრავალი მონაცემთა ბაზა აქვს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება კომპანიების შესასწავლად. მაგალითად, <http://www.nass.org>, სადაც დარეგისტრირებისას ხელი მიგინვდებათ ქვეყნის 50 შტატის კომპანიათა რეესტრზე ¹¹³ ასევე, საინტერესოა <http://www.guidestar.org>, რომელიც ითხოვს რეგისტრაციას¹¹⁴. ის ძალზედ სასარგებლო ელექტრონული ვებმისამართია მათთვის, ვინც აშშ ში დაფუძნებულ, მაგრამ საზღვარგარეთ მოქმედ ფონდებს, არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს ეძებს და მათზე სურს ინფორმაციის მოძიება.

ახალი ზელანდიისთვის <https://www.companiesoffice.govt.nz/companies> ინფორმაციის ერთ-ერთი საუკეთესო პროვაიდერია. სისტემა უფასოა და ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.¹¹⁵ ბელგიურ ვებ-გვერდზე არსებობს ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ. ვებ-გვერდი <http://www.ejustice.just.fgov.be/tsv/tsf.htm> ასევე იძლევა ინფორმაციას კომპანიების შესახებ¹¹⁶. <http://www.trendstop.be> კი განთავსებულია ფინანსური ინფორმაცია ბელგიის 100 უმსხვილესი კომპანიის შესახებ ¹¹⁷. ბოსნია და ჰერცეგოვინაში კომპანიის შესახებ ჩანაწერების

¹¹² National Depository Center of the Republic of Azerbaijan, CJSC, website: <http://aecsd.org>

¹¹³ National Association of Secretaries of State, website: <http://www.nass.org>

¹¹⁴ GuideStar, website: <http://www.guidestar.org/Home.aspx>

¹¹⁵ Ministry of Business, Innovation and Employment, website: <https://www.companiesoffice.govt.nz/companies>

¹¹⁶ Belgisch Staatsblad, website: <http://www.ejustice.just.fgov.be/tsv/tsf.htm>

¹¹⁷ Trends Top, Trends Business Information, in Search for Business, website: <http://www.trendstop.be>

მოპოვება შესაძლებელია, ისინი ძირითადად განთავსებულია ბოსნიის სასამართლოებში. დოკუმენტები იძლევა ინფორმაციას მფლობელთა შესახებ, ასლების გადაღება ფასიანია. ამასთანავე, რამდენიმე სასამართლომ პრაქტიკაში დანერგა ინტერნეტ ან ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზებით სარგებლობა. თუმცა, ვებგვერდებზე არსებული ინფორმაცია არ იძლევა სრულ სურათს¹¹⁸. ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებით სარგებლობენ ოფშორული კომპანიების ფორმირების დროს. მათ აქვთ საკუთარი რეესტრი, საიდანაც შესაძლებელია კომპანიის წესდების, დირექტორთა შესახებ ინფორმაციის მიღება. თუმცა, დარეგისტრირებული კომპანიის ბენეფიციარი მფლობელი კორპორაციულ ჩანაწერებში შესაძლოა, არ დაფიქსირდეს. ვებ-მისამართზე <http://www.guernseyregistry.com> მოცემულია ინფორმაცია გუერნსზე დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ¹¹⁹. აღნიშნული კუნძული გამოირჩევა ოფშორული კომპანიების დაფუძნებისთვის დამახასიათებელი სასურველი გარემოთი, რომელიც არაერთ ფულის გამოთვრებელს იზიდავს. დანიის ვებ-გვერდი <http://www.biq.dk> მოცემულია დანიურ ენაზე და ფასიანია. ამასთანავე, შესაძლებელია ერთკვირიანი უფასო წევრობის მიღება¹²⁰. აქ შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება დანიური კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული პირების შესახებ. დიდ ბრიტანეთში ინფორმაცია აქციონერების, დირექტორებისა და ფინანსური ანგარიშების შესახებ ძირითადად ფასიანია. ცვლილებები კომპანიების სტრუქტურაში შესაძლოა მიკვლევულ იქნას მონაცემთა ბაზის, საკრედიტო ვალდებულებების და სხვადასხვა ფინანსური ტრანზაქციების შესახებ მონაცემების მიღებისას- <http://www.companieshouse.co.uk/ddir>¹²¹. ამასთანავე, შესაძლოა ინფორმაციის მოძიება ყველა დისკვალიფიცირებული დირექტორის შესახებ. ირლანდიაში ინფორმაციის მიღება ფასიანია. კომპანიების სარეგისტრაციო ოფისები, რეესტრი, ბიზნეს-სახელწოდებები შესაძლოა, მოიძებნოს შემდეგ ვებ-მისამართზე <http://www.cro.ie>.¹²² იტალიურ ვებ-გვერდზე <http://www.registroimprese.it> ინფორმაციის

¹¹⁸ Registers of Business Entities in Bosnia and Herzegovina, website: <https://bizreg.pravosudje.ba>

¹¹⁹ Guernsey Registry, website: <http://www.guernseyregistry.com>

¹²⁰ ISøgning, website: <https://data.biq.dk>

¹²¹ Companies House, Registrar of Companies (England and Wales), website: www.gov.uk

¹²² Companies Registration Office, website: <https://www.cro.ie>

მოძიება კომპანიის შესახებ უფასოა¹²³. მონაცემთა ბაზა, აგრეთვე ხელმისაწვდომია ევროპის ბიზნეს რეესტრის მეშვეობით.

2004 წლიდან მოყოლებული კვიპროსი მაქსიმალურად ცდილობს ფულის გათეთრების შემთხვევების აღმოფხვრას. კორპორაციული ჩანაწერების მოპოვება შესაძლებელია კომპანიათა რეესტრის დეპარტამენტის შემდეგ ვებმისამართზე: <http://www.mcit.gov.cy>¹²⁴. საინტერესოა, რომ ოფიციალური დოკუმენტები შესაძლოა, შეიცავდეს შეცდომებს. კვიპროსს პრაქტიკულად არ აქვს კონტროლი მონაცემებზე. ლატვიაში ინფორმაცია ხელმისაწვდომია რეესტრის მეშვეობით: <http://www.lursoft.lv>¹²⁵. ლიხტენშტეინი მწირ მონაცემებს სთავაზობს კომპანიების შესახებ და არასოდეს გასცემს ინფორმაციას მფლობელების შესახებ. კომპანიის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია, ინახოს შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.oera.li>¹²⁶. ძიება მიმდინარეობს სახელწოდებისა და რეგისტრაციის ნომრით. განსაზღვრული ფორმის შევსების შემდეგ შესაძლებელია ჩანაწერების მიღება. ინფორმაციის მიღება ფასიანია. ლუქსემბურგის სავაჭრო რეესტრს ფასიანი მომსახურება აქვს <http://www.rcsl.lu>¹²⁷ სასარგებლო რესურსი ლუქსემბურის კომპანიების შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად არის შემდეგი ვებ-გვერდი: <http://www.etat.lu>, რომელიც, მოიცავს ოფიციალური ჩანაწერების ნაკრებს¹²⁸. კომპანიის სახელწოდების მიხედვით შესაძლებელია მონაცემების მოპოვება <http://legilux.public.lu>¹²⁹. მაკედონიის კომპანიების შესახებ მონაცემები თავმოყრილია <http://www.crm.com.mk>-ზე, სადაც ინფორმაცია განთავსებულია მაკედონიურ ენაზე 2008 წლიდან დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ¹³⁰. წინა წლებში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად აუცილებელია რეესტრის ოფისიდან ინფორმაციის გამოთხოვა. ოფშორული კომპანიების ფორმირებისთვის ერთ-ერთი

¹²³ The business register of the Italian Chambers of Commerce, website: <http://www.registroimprese.it>

¹²⁴ Republic of Cyprus, The Ministry of Energy, Commerce Industry and Tourism, website: <http://www.mcit.gov.cy>

¹²⁵ Lursoft, website: <http://www.lursoft.lv>

¹²⁶ Landesverwaltung, Fürstentum Liechtenstein, website: <http://www.oera.li>

¹²⁷ Registre de Commerce et des Societes, website: <https://www.rcsl.lu>

¹²⁸ Le Gouvernement Du Grand-Duche De Luxembourg, website: <http://www.etat.public.lu/fr/index.php>

¹²⁹ Le Gouvernement Du Grand-Duche De Luxembourg, website: <http://legilux.public.lu>

¹³⁰ Централен Регистар На Република Македонија, website: <http://www.crm.com.mk>

მიმზიდველი ადგილმდებარეობაა მენის კუნძული, რომელთა კორპორაციული ჩანაწერები შესაძლებელია, მოიძებნოს ვებ-გვერდზე: <http://www.fsc.gov.im>¹³¹. ძიება შესაძლებელია სახელწოდებით ან კომპანიის რეგისტრაციის ნომრით. ჰოლანდიის სავაჭრო რეესტრი ონლაინ რეჟიმში იძებნება ვებ-გვერდზე <http://www.kvk.nl>, ინფორმაციის უმეტესობა უფასოა¹³². ნორვეგიაში კომპანიის შესახებ ინფორმაცია ბიზნეს-რეესტრის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი: <http://www.brreg.no>¹³³. რუმინეთში ჩანაწერები განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://www.onrc.ro>, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ძიების განხორციელება სახელებისა და მისამართების, სარეგისტრაციო ნომრის, აქციონერების და ადმინისტრატორის სახელების ჩათვლით¹³⁴. მონაცემთა ბაზასთან დაშვებისთვის საჭიროა ხელმოწერა. კომპანიის ისტორია ბუქარესტის რეესტრის სათაო ოფისში მოიპოვება და მიღებული კაკონმდებლობით პირადი მონაცემები აქციონერთა შესახებ ხელმიუწვდომელია. რუსეთში რამდენიმე საძიებო რესურსი არსებობს, რომელიც იძლევა ინფორმაციას კომპანიების შესახებ. მათ შორის <http://www.egrul.ru> რომელზეც ხელმოწერა აუცილებელია¹³⁵. ვებ-გვერდი იძლევა ინფორმაციას კომპანიების დამფუძნებლების და ფინანსური ანგარიშების შესახებ. ასევე, შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება იმის თაობაზე, თუ რა კომპანიები შეიქმნა ამა თუ იმ პირის მიერ. ასევე, სასარგებლო ვებ-გვერდი არის <http://www.lin.ru>, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მსხვილი კომპანიების შესახებ¹³⁶ მოცემულ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის განახლებული. სამხრეთ აფრიკაში ჩანაწერები მოიპოვება კომპანიების რეესტრიდან, რომელიც ინახება ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტში <http://www.cipro.gov.za>¹³⁷

¹³¹ Isle of Man, Financial Services Authority, Lught-Reill Shirveishyn Argidoil Ellan Vannin, website: <https://www.iomfsa.im>

¹³² The Chamber of Commerce, Kamer van Koophandel, website: <https://www.kvk.nl/english>

¹³³ The Brønnøysund Register Centre, website: <https://www.brreg.no/home/>

¹³⁴ Ministerul Justiției, Oficiul Național al Registrului Comerțului, website: <https://www.onrc.ro/index.php/ro/>

¹³⁵ Russian Federation, Enquiry Service of Legal Entities, website: <https://russianpartner.biz>

¹³⁶ Legislation and Investment, website: <http://www.lin.ru>

¹³⁷ Companies and Intellectual Property Commission, a member of the dtl group

არაოფიციალურად მონაცემების მოპოვება შესაძლებელია <http://www.legalcity.net> ზე¹³⁸. საფრანგეთში კომპანიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია <http://www.euridile.fr-ze>¹³⁹. კომპანიის შესახებ სრული ჩანაწერი შესაძლოა 40 ევრომდე ღირდეს. საქართველოში ჩანაწერები კომპანიათა შესახებ შესაძლოა მოიძებნოს ფინანსთა სამინისტროს www.revenue.mof.ge-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს www.napr.gov.ge ვებგვერდზე¹⁴⁰. არის შემთხვევები, როდესაც კომპანიების რეალური მფლობელების უკან ფიქტიური პირები დგანან. საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ჩანაწერების მოძიება ასევე შესაძლებელია <http://www.dnb.com>-ზე¹⁴¹ მონაცემთა ბაზასთან ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა ტიპის საძიებო სისტემა მოცემულია უფასო საიტზე <http://www.lexisnexis.com>¹⁴².

სლოვაკეთში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოძიება უფასოა <http://www.orsk.sk>-ზე¹⁴³ უკრაინაში კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ევროპის ბიზნეს-რეესტრის მეშვეობით. კომპანიების შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია <http://www.smida.gov.ua>¹⁴⁴ მონაცემთა ბაზა იძლევა ინფორმაციას სააქციო საზოგადოებების, კომპანიების, მათი წლიური ანგარიშების შესახებ. <http://bank.gov.ua>-ზე მოცემულია ბანკების აქციონერთა მონაცემთა ბაზა, სადაც ასახულია ინფორმაცია იმ პირების შესახებ, ვისაც ბანკში 10%-ზე მეტი წილი აქვს¹⁴⁵. <http://cna.com.ua> არის მონაცემთა ბაზა კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის, კანონდარღვევების და სხვა მსგავსი სახის ინფორმაციის შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა არის ფასიანი. უნგრეთში დარეგისტრირებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ინგლისურ ენაზე

¹³⁸ Legal City, South Africa's premier online legal services portals, website: <https://www.legalcity.net>

¹³⁹ Les Greffes Des Tribunaux De Commerce, website: <https://www.infogreffe.fr>

¹⁴⁰ sajaro reestris erovnuli saagento. website: www.napr.gov.ge

¹⁴¹ Dun and Bradstreet, Global Commercial Database, website: <http://www.dnb.com>

¹⁴² 3LexisNexis, Legal and Professional, website: <https://www.lexisnexis.com/en-us/gateway.page>

¹⁴³ 4Ministry Of Justice Of The Slovak Republic, Business Register, On Internet, website: <http://www.orsk.sk>

¹⁴⁴ SMIDA, Ми робимо інформацію доступною, website: <https://smida.gov.ua>

¹⁴⁵ Національний банк України, website: <http://bank.gov.ua/control/uk/index>

<http://www.adatbazis.com>¹⁴⁶. ფინური კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სავაჭრო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://www.adatbazis.com> თუმცა, მონაცემთა ბაზა არ მოიცავს ფინანსურ ჩანაწერებს¹⁴⁷. ჩეხეთის რესპუბლიკის ვებ-გვერდი <http://portal.justice.cz> უზრუნველყოფს უფასო ინფორმაციის მონოღებას კომპანიის სახელწოდების მიხედვით¹⁴⁸. როდესაც ფინანსური ინსტიტუტები და სახელმწიფო სტრუქტურები ახორციელებენ დიდი მოცულობის ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, რათა მოხერხდეს კლიენტების შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღება, დამნაშავეები მაქსიმალურად ცდილობენ ალტერნატიული გზების მოძიებას, რის საპასუხოდაც სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანოები იმუშავენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დაინახონ კავშირები მოთამაშეებს შორის და გამოავლინონ საეჭვო ტიპის შემთხვევები, დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან. თუ ფინანსური სისტემები განაგრძობენ ახალი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, კრიმინალები კვლავ შეეცდებიან ახალი ალტერნატიული გზის მოძიებას ფულადი სახსრებისათვის. როგორც მოცემულ პარაგრაფში გამოვლინდა, თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობენ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენასა და მათ შემდგომ პრევენციას.

4.2 შეჯამება

ფულის გათეთრებასთან ბრძოლა წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის და ნარკობიზნესის კონტროლის მნიშვნელოვან ბერკეტს. საერთოდ კი, ფულის გათეთრების პრობლემის წარმოშობა პირდაპირ არის დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან. ფულის გათეთრების შედეგად მიღებულ შემოსავალს ეძლევა რესპექტაბელური კანონიერი სახე, რათა შემდგომში ეს სახსრები შეფერხების გარეშე მოხვდეს სახელმწიფო ეკონომიკურ

¹⁴⁶ BISNODE, Azokosadatok és üzletielemzések úttörőivagyunk, website: <https://www.bisnode.hu>

¹⁴⁷ The Business Information System, website: <https://www.ytj.fi/en/index.html>

¹⁴⁸ Ministerstvo Spravedlnosti České Republiky, website: <http://www.justice.cz/Justice2/Uvod/uvod.aspx>

და საფინანსო ინსტიტუტებში. ამიტომაც, უკანონო შემოსავალთან ბრძოლა, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მიერ, აღიარებულია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, ხოლო ამასთან დაკავშირებული ღონისძიებები იძენენ ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბების ზრდის შემაკავებელი ძალისხმევის მნიშვნელობას. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კონტროლის სტრუქტურაში გამოყოფენ ორ ურთიერთკავშირის მქონე მექანიზმს, რომლის შეთანხმებული ფუნქციონირება უზრუნველყოფს განსახილველ პროცესებთან მეტნაკლებად ეფექტიან ბრძოლას:

- საფინანსო კონტროლის მექანიზმი;
- სისხლის სამართლებრივი კონტროლის მექანიზმი.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ფულის გათეთრების კონტროლს მის საფინანსო დაწესებულებებში განთავსების სტადიაზე, რადგან კრიმინალური შემოსავლის ლეგალიზაციის ეს ფაზა სახელმწიფო კონტროლის ყველაზე სუსტი რგოლია. დღეს მსოფლიოში ჩამოყალიბდა ფინანსური კონტროლის სამი ძირითადი სისტემა:

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეფექტიანობა დიდწილადაა დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ემედიანობაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფულის გათეთრების ამკრძალავი ნორმის სიზუსტეს და მისი გამოყენების სასამართლო პრაქტიკას, მიუხედავად სახელმწიფო პოლიტიკისა დანაშაულის კვალიფიკაციის პროცესში სასამართლომ სწორად უნდა შეაფასოს დანაშაულის არსი და არ უნდა შეცდეს მის კვალიფიკაციაში, რადგან სწორედ ამგვარი დანაშაულის სწორად კვალიფიკაცია, ერთგვარი პრევენციაა, რაც ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიებს შექმნის. პრობლემის არსის უკეთ აღსაქმელად რეკომენდირებულია, ყურადღება დაეთმოს როგორც უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესს, ასევე მის შედეგს. კვლევის ფარგლებში, გავანალიზეთ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე არსებული ლიტერატურა, რის შედეგადაც

ჩამოვყალიბეთ ჰიპოთეზები, ვინაიდან ფულის გათეთრება XXI საუკუნისათვის ახალი მოვლენა არ არის და ბიზნესის ოპერატორების ნაწილი ყოველთვის ცდილობდა შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროს დამალვას. დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი და ორგანიზაცია თუ გაერთიანება, რომელიც აქტიურად გამოიყენება უკანონოდ მიღებული სახსრებისათვის ლეგალური სახის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. დროთა განმავლობაში, აღნიშნული დოკუმენტებისა თუ ორგანიზაციების რიცხვი მატულობს, რაც ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას. ხსენებულმა გარემოებამ განაპირობა ფულის გათეთრების საკითხის, მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების და გათეთრების მეთოდების, ფაზების კვლევის აუცილებლობა. შავი ფულის გათეთრების დეტერმინანტების დადგენის საფუძველზე გამოვლინდა, რომ არაოფიციალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი, ჩრდილოვანი ეკონომიკის, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება, ფინანსური საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების შეუსრულებლობა, გამჭვირვალობის არასაკმარისი მოთხოვნები ფინანსურ ოპერაციებსა და ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით, ანონიმური ანგარიშების, ქვეყნის შიგნით თავისუფალი სავაჭრო ზონების არსებობა ხელს უწყობს ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას. ამასთანავე, ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე, დროთა მანძილზე ვითარდება, რაც განაპირობებს მათი შესწავლის მუდმივ საჭიროებას. მართალია, დღესდღეობით, არსებობს შავი ფულის გათეთრების ძირითადი ერთი უნიფიცირებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს განთავსებას, დანაწევრებასა და გაერთიანებას, თუმცა, რეალობაში მრავალი ხერხი და მეთოდი გამოიყენება კრიმინალისტების მიერ უკანონო შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მისაცემად. აშკარაა, რომ უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის მეთოდები დღევანდელობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. უკანონო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებს. ფულის

გათეთრების ერთ-ერთ მასტიმულირებელი ფაქტორი ტექნოლოგიური პროგრესია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობა კი არ უნდა ჩამორჩეს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზების ტემპს და ეს ახალი პროდუქტები არ უნდა იქნას გამოყენებული კრიმინალების მიერ დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად. მიზანშეწონილია დაინერგოს უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვადასხვა სტრუქტურების მონაცემების საფუძველზე შეიქმნას ერთიანი ბაზა. სხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ფინანსურ ტრანზაქციებზე დანესებული ლიმიტები და ინფორმაციის ორგანიზებული გაცვლა მკვეთრად ზრდის ფულის გათეთრების აღმკვეთი სამუშაოების ეფექტიანობას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში ვისაუბრე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსზე, დანაშაულის წარმოშობაზე, მიმოვიხილეთ მისი ისტორიული განვითარების საფეხურები, მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, უკანონო შემოსავლის განმარტება, მიღების წყარო და ეტაპები, დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების გამოყენების მიზნები, დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა, მისი განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება და საერთაშორისო აქტები, აგრეთვე თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში არსებული პრობლემები და თავისებურებები, რაც ამ დანაშაულის შემადგენლობას ახასიათებს და განასხვავებს სხვა დანაშაულებისაგან.

ზემოაღნიშნული საკითხების შესწავლის შემდეგ ცხადია, თუ რა განაპირობებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საშიშროებას: თავად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია აუცილებლად გულისხმობს სხვა დანაშაულის ჩადენის აუცილებლობას, რომელსაც მოაქვს ასეთი შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში, ეს არის კარგად

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, ხოლო ამის შედეგად მიღებული შემოსავლისთვის კანონიერი სტატუსის მინიჭება ასევე მოიცავს ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც ძალიან ხშირად ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, როგორც სისხლისმართლებრივად დასჯადი ქმედება ხელყოფს სამართლებრივად დაცულ ისეთ სფეროებს, როგორიცაა: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, საბანკო სექტორი და სამენარმეო საქმიანობა. ამგვარი დანაშაულის გავრცელების არეალი არ მოიცავს მხოლოდ ერთ ქვეყანას, ხოლო აღნიშნულს ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურების არაეფექტური საქმიანობა და კონტროლი, სათანადოდ მომზადებული ადამიანური რესურსების სიმწირე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციისთვის აუცილებელია მჭიდრო და პროდუქტიული საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის ფორმირებას. თითოეული ქვეყნის შიდა სამართლებრივი აქტები გამოხატავს თავად ამ ქვეყნისთვის აუცილებელ და სასარგებლო ფორმულირებას, თუმცა აუცილებელია ისეთი საკითხების დაზუსტება, როგორიცაა: უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც დანაშაულის ხელყოფის ობიექტის ცნება, ამ კონტექსტში სახელმწიფოებრივი საქმიანობის იმ სფეროების შესწავლა, სადაც ადგილი აქვს აღნიშნულ ქმედებას, დამნაშავეთა და მათ მიერ ჩადენილი იმ დანაშაულების კრიმინოლოგიური ფაქტორების კვლევა, რასაც ადგილი აქვს უკანონო შემოსავლის ფორმირებისთვის. ასევე უმნიშვნელოვანესია იმ მიზეზების გათვალისწინება, რომელთა გამოც ეს დანაშაული პროგრესირებს. სწორედ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა უზრუნველყოფს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისგან სახელმწიფოს ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის დაცვას, რასაც აუცილებლად შეუწყობს ხელს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების დანერგვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, მაღალკვალიფიციური კადრების მობილიზება და რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენება.

ბიბლიოგრაფია

მონოგრაფიები და წიგნები

1. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. ეკონომიკური დანაშაული (2004). რედაქტორი: ო. გამყრელიძე. თბ. „მერიდიანი“.
2. ტურავა მ. (2000) სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. „მერიდიანი“.
3. ტურავა მ. (2011) სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. წიგნი 1. დანაშაულის მოძღვრება. თბ. „მერიდიანი“.
4. კვარაცხელია რ. (2010) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის. თბ.
5. გამყრელიძე ო. (1998) ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. პირველი წიგნი. თბ.
6. გამყრელიძე ო. (2013) სისხლის სამართლის პრობლემები. ტ. 3. თბ. „მერიდიანი“.
7. Alexander K. (2000) The Legalization of the International Anti-money Laundering Regime: The Role of the Financial Action Task Force. Centre for Business Research.
8. Alldridge P. (2003) Money Laundering Law: Forfeiture, Confiscation, Civil Recovery, Criminal Laundering and Taxation of the Proceeds of Crime. Hart Publishing Business & Economics.
9. Altenkirch L. (2007) Techniken der Geldwäsche und ihre Bekämpfung. Frankfurt School Verlag.
10. Beare M. (2007) Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars. University of Toronto Press.
11. Bernarsoni P. (1988) Finanzunterwelt. Zürich, Wiesbaden.

12. Bräuning B. (2009) Ökonomie der Geldwäsche. Verlag: Kovac, J.
13. Delmas-Marty M. (1992) Les grands systems de politique criminelle. Paris.
14. Diergarten A. (2013) Geldwäsche. Kommentar. Deutscher Sparkassenverlag.
15. Findeisen M. (2009) Handbuch zum deutschen und europäischen Bankrecht. VII.
16. Gallant M. (2005) Money Laundering and the Proceeds of Crime: Economic Crime and Civil Remedies. Cheltenham, UK: Edward Elgar. 206
17. Herzog F., Achtelik O., Nestler C., Warius S. (2010) Geldwäschegesetz (GwG). Verlag C. H. Beck. München.
18. Hombrecher L. (2005) Der Tatbestand der Geldwäsche (§261 StGB) – Inhalt, Aufbau. Problemstellungen. JA. Hamburg.
19. Jeandidier W. (2000) Droit penal des affaires. Paris.
20. Kargl W. (2001) Probleme des Tatbestands der Geldwäsche (§261 StGB). NJ.
21. Landscheiten T. (2013) Geldwäsche – Grundlagen und Entwicklung der entsprechenden deutschen Gesetzgebung. GRIN Verlag GmbH.
22. Madinger J. (2011) Money Laundering: A Guide for Criminal Investigators. Third Edition. Taylor & Francis.
23. Monßen J. (2012) Geldwäsche: Die Organisierte Kriminalität und die Infizierungstheorie. Bachelor & Master Publishing.
24. Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch: StGB. Band 3: §§80–184g StGB. 2. Auflage 2012. Buch. Verlag C. H. Beck. München.
25. Pradel J., Danti-Juan M. (2001) Manuel de droit penal special. Paris.

26. Rott K., Schmitt H. (2009) Geldwäsche: Gefährdungsanalyse und Überwachungsmaßnahmen. Deutscher Sparkassenverlag.
27. Ryder N. (2012) Title Money laundering – an endless cycle?: a comparative analysis of the anti-money laundering policies in the United States of America, the United Kingdom, Australia and Canada. London; New York: Routledge.
28. Safferling C. (2008) Vorsatz und Schuld: subjektive Täter Elemente im deutschen und englischen Strafrecht. Erlangen-Nürnberg, Univ., Habil.-Schr.
29. Siska J. (2007) Geldwäsche: und ihre Bekämpfung in Österreich, Deutschland, der Schweiz. Linde. Verlag GmbH.
30. Stessens G. (2000) Money laundering: a new international law enforcement model. Cambridge University.
31. Tofahrn S. (2013) Strafrecht. Besonderer Teil II: Straftaten gegen Vermögenswerte. Verlag: CFMüller.
33. Алиев В. М., Соловых Н. Н. (2002) Теоретические основы изучения проблемы легализации (отмывания) доходов, полученных незаконным путем. Домодедово. 207
34. Беницкий А. С., Розовский Б. Г., Якимов О. Ю. (2008) Ответственность за легализацию преступно приобретенных доходов в уголовном законодательстве Украины и Российской Федерации. Луганск. РИО ЛГУВД им. Э. А. Дидоренко.
32. Букарев В. Б., Трунцевский Ю. В., Шулепов Н. А. (2007) Уголовная ответственность за легализацию (отмывание) доходов, приобретенных преступным путем. М. «Юрист».
33. Волженкин Б. В. (1999) Экономические преступления. СПб.
34. Жалинский А. Э. (2006) Современное немецкое уголовное право. М. «ТК Велби», «Прспект».

35. Зубков В. А., Осипов С. К. (2007) Российская Федерация в международной системе противодействия легализации (отмыванию) преступных доходов и финансированию терроризма. М. «Юрист». 40. Кернер Х.-Х., Дах Э. (1996) Отмывание денег. Путеводитель по действующему законодательству и юридической практике. М. «Международные отношения».
36. გოგბერაშვილი ა., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თბილისი, 2012, გვ.1-2, Human development Reports, Income Gini Coefficient. hdr.undp.org/en/content/income-gini-coefficient
37. გოგბერაშვილი ა., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თბილისი, Tbilisi, 2012, გვ.1-2
38. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2016, გვ.1
39. კვლევითი დეპარტამენტი, კანონმემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, თბილისი, 2015, გვ.1-4
40. msofllo მსოფლიო ბანკის ანგარიში. ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი:: <http://www.worldbank.org>
41. Киселев И. А. (2009) Грязные деньги: Уголовная ответственность за отмывание преступных доходов и её применение в борьбе с преступностью и коррупцией. М. «Юриспруденция».
42. Смагина А. В. (2006) Легализация преступных доходов: сравнительный анализ уголовного законодательства России и зарубежных стран. М. «СПАРК».
43. Соловьев А. В. (2003) Уголовно-правовые и криминологические меры борьбы с легализацией (отмыванием) денежных средств или иного имущества, приобретенных преступным путем. Волгоград.
44. Уголовное законодательство зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии, Японии) (1998). Под ред. Козочкина И. Д. М. «Зерцало».

45. Карлеба В.А., Исторические, Правовые И Криминологические Аспекты Противодействия
46. Легализации (Отмыванию) Преступных Доходов В России, 2004, С.62
47. Кернерх Х., Дах. Э., Отмывание денег: Путеводитель По Действующему Законодательству
И
48. Юридической Практике, 1996, С.36-37.
49. Кондрат Е.Н., Основные Способы Легализации (Отмывания) Преступных Доходов
Результате Совершения Коррупционных Преступлений, 2011, С.61-66.
51. Коротков И. В., Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты Борьбы Против
Легализации
52. (Отмывания) Незаконных Доходов, 2004, С.54-62
53. Ларичев В.Д., Мошенничество В Сфере Страхования: Предупреждение, Выявление,
Расследование, 2005, С.160
54. Ловкий С.Г., Документирование Деятельности Организованных Групп, Занимающихся
Легализацией (Отмыванием) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных
Незаконным Путем, 2001, С.20
55. Лопашенко А., Преступления В Сфере Экономической Деятельности, 1997, С.359-363.
56. Макарова Н., Налоговые Преступления, Легализация (Отмывание) Денежных Средств,
2000, С.183-186.
57. Мельников В. Н., Мовсесян А. Г., Противодействие Легализации Отмывания Незаконных
Доходов. Москва, 2007, С.169

58. Національний банк України, website: <http://bank.gov.ua/control/uk/index>
59. Никулина В.А., Правовые Аспекты Соучастия В Легализации Незаконных Доходов, 2000, С.17
60. Отмывание Денег В Нарушение Формотчетности По Наличным Операциям, 1995, С.380
61. Педун О.Л., Легализация Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2004, С.11
62. Радзевановская Ю.В., Легализация (Отмывание) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем (Уголовно-Правовая И Криминологическая Характеристика), 2005, С.11
63. Робинсон Д., Всемирная Прачечная: Террор, Преступления И Грязные Деньги В Оффшорном Мире, 2004, С.539
64. Тер-Аванесов И.Г., Легализация Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем, 2005, С.15-16
65. Тетюков К.В., Легализация Преступных Доходов Уголовно-Правовые И Криминологические Аспекты, 2003, С.18
66. Цветков И., Пираты: Легенды И Реалии, Архенгольц Ф. История Морских Разбойников Среди Земноморья И Океана, 1991, С.368
67. Централен Регистар На Република Македонија, website: <http://www.crm.com.mk>
68. Шашкова А.В., Международная И Национальная Практика Противодействия Коррупции И Отмыванию Незаконных Доходов. Практика Корпоративного Поведения, 2014, С.270
69. Шашкова А.В., Зарождение понятия «Легализация, Доходов, Полученных Преступным Путем», 2011, С.27-32

70. Щегорцев В.А., Таран В.А., *Мировая Экономика, Мировая Финансовая Система, Международный Финансовый Контроль*, 2005, С.345
71. Эм В.Ю., *Уголовно-Правовая И Криминологическая Характеристика Легализации (Отмывания) Денежных Средств Или Иного Имущества, Приобретенных Преступным Путем*, 2004, С.9
72. Якимов О. Ю., *Легализация Имущества, Приобретенного Заведомопреступным Путем: Региональное Состояние, Возможности И Пути Противодействия На Местном Уровне*, 2004, С.68-7
73. <http://bitcoin.emoney.ge/ka/2015/06/08/ვირტუალურიკრიპტოგრაფიუ/>
74. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
75. <http://jolt.law.harvard.edu/digest/a-comparative-analysis-of-bitcoin-and-other-decentralized-virtualcurrencies-legal-regulation-in-the-peoples-republic-of-china-canada-and-the-united-states>
76. <http://panamapapers.sueddeutsche.de/articles/56febff0a1bb8d3c3495adf4/>
77. <http://www.allbanks.org/main/list/42.html>
78. <http://www.austria.org/population/>
79. <http://www.euronews.ge/archives/4922>
80. <http://www.statista.com/topics/1053/casinos/>
81. <http://www.statista.com/topics/1053/casinos/> U.S. casino market
82. <https://data.worldbank.org/indicator>
82. <https://data.worldbank.org/indicator> 83. <https://data.worldbank.org/indicator>

84. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52007AE0406>
85. <https://news.bitcoin.com/bank-of-thailand-bans-banks-from-cryptocurrency-activities/>
86. <https://www.charitywatch.org/charities>
87. <https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2018/01/29/russias-newly-drafted-cryptocurrency-bill-cryptonot-cash/#7584a361646e>
88. https://www.imolin.org/doc/amlid/Croatia_Law%20on%20Prevention%20of%20ML.pdf